В спектре пара-замещенного алкенилфенола (I) проявляется полоса гидроксильной группы в области 3300—3600 $см^{-1}$. В спектрах соединений II и III отсутствует поглощение валентного колебания гидроксильной группы, кроме того, для третьего соединения не наблюдается заметного усиления полосы около 3020 $см^{-1}$, характерного для группировки $R_1R_2C=$ $=CHR_3$, что может служить доказательством процесса циклизации.

УФ-спектр соединения (I) резко отличается от спектра соединения третьего и проявляется полоса около 280 нм, что свидетельствует о паразамещении в фенольном ядре.

Непредельность пара-замещенного алкенилфенола установлена гидрированием в присутствии $Pd/CaCO_3$: получен соответствующий алкилфенол. Место замещения алкенильного радикала и двойной связи в боковой цепи доказано окислением метилового эфира монозамещенного фенола:




Изомеризация I-винилциклопентанола-I при алкилировании фенола подтверждается сравнением продукта гидрирования с продуктом алкилирования фенола предельным спиртом I-этилциклопентанолом-I. Эти продукты не идентичны.

Таблица 1

| №№ | Название вещества | Структурная формула | Выход % | Т кит. С° (р. мм) | $n_D^{20}$ | $d_4^{20}$ | $MR_D$ найдено | $MR_D$ вычислено | Найдено, % C | Найдено, % H | Найдено, % OH | Эмпирическая формула | Вычислено, % C | Вычислено, % H | Вычислено, % OH |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | п (2-циклопентилиден-этилфенол |  (I) | 60 | темп. пл 68—69 | — | — | — | — | 82,71 | 8,98 | 9,65 | $C_{13}H_{16}O$ | 82,97 | 8,45 | 9,04 |
| 2 | (2-циклопентилиденэтил) фенолоэфир |  (II) | 8 | 105—106° (1 мм) | 1,532 | 1,004 | 48,28 | 47,95 | 82,54 | 9,02 | — | $C_{13}H_{16}O$ | 82,97 | 8,45 | — |
| 3 | 2-циклопентил кумаран |  (III) | 6 | 125—126° (1 мм) | 1,540 | 1,009 | 60,70 | 60,92 | 82,36 | 8,76 | — | $C_{13}H_{16}O$ | 82,97 | 8,45 | — |
| 4 | п (2-циклопентилэтил) фенол |  (IV) | 83 | 128—130 (2мм) | 1,538 | — | — | — | 76,92 | 9,84 | 8,99 | $C_{13}H_{18}O$ | 76,84 | 9,47 | — |
| 5 | п (2-циклопентилиден-этил) метоксибензол |  (V) | 54,5 | 115—116° (1 мм) | 1,544 | 0,96 | 62,94 | 62,50 | 83,45 | 8,29 | — | $C_{14}H_{18}O$ | 83,16 | 8,91 | — |

| №№ | Название вещества | Структурная формула | Выход % | Т кип. С° (р. мм) | $n_D^{20}$ | $d_4^{20}$ | $MR_D$ найдено | $MR_D$ вычислено | Найдено, % C | Найдено, % H | Найдено, % OH | Эмпирическая формула | Вычислено, % C | Вычислено, % H | Вычислено, % OH |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | п (2-циклопентилидн-этил) феноксиуксусная кислота |  (VI) | 40 | темп. пл. 99—100° | — | — | — | — | 73,54 | 7,28 | — | $C_{15}H_{18}O_3$ | 73,17 | 7,31 | — |
| 7 | п (2-циклопентилэтил) феноксиуксусная кислота |  (VIII) | 23 | темп. пл 106—107° | — | — | — | — | 72,36 | 8,42 | — | $C_{15}H_{20}O_3$ | 72,58 | 8,10 | — |
| 8 | п (1-этилциклопентил) фенол |  (VII) | 25 | темп. пл 80—81° | — | — | — | — | 77,12 | 9,64 | 9,05 | $C_{13}H_{18}O$ | 76,84 | 9,47 | 8,94 |
| 9 | п (1-этилциклопентил) феноксиуксусная кислота |  (IX) | 60 | темп. пл 116—117° | — | — | — | — | 72,94 | 8,56 | — | $C_{15}H_{20}O_3$ | 72,58 | 8,10 | — |



Как алкилированный предельным спиртом фенол, так и полученный алкилированием I-винилциклопентанолом-I пара-замещенный фенол и продукт его гидрирования конденсацией с монохлоруксусной кислотой образуют соответствующие феноксиуксусные кислоты.

Изучение биологической активности полученных феноксиуксусных кислот представляет практический интерес.




В результате исследований получены 9 новых соединений.

## Экспериментальная часть

Исходные спирты для алкилирования I-винилциклопентанол-I и I-этилциклопентанол-I.

I-винилциклопентанол-I (т. к. 148—152°, $n_D^{20} = 1.466$) получен гидрированием I-этинилциклопентанола-I, последний синтезирован конденсацией ацетилена с циклопентанолом в присутствии порошкообразного едкого калия в среде абсолютного эфира [5]. Для гидрирования был использован катализатор $Pd/CaCO_3$. I-этилциклопентанол-I получен путем магний-органического синтеза (6).

Для каталитического алкилирования к смеси 15 г $H_3PO_4$ и 22 г фенола добавлялось 40 г I-винилциклопентанола-I; длительность алкилирования 25 часов при 65—70°С. Эксперимент выполнялся по известной методике [7]. Полученные моноалкилаты очищены методом тонкослойной хроматографии; использована окись алюминия, система „бензолметиловый спирт" (9:1), применялась пластинка размером 13×18 см, толщина слоя окиси алюминия 1,2 мм. Детектирование проводилось йодом.

ИК-спектры получены на спектрометре UR-10. Электронные спектры получены на кварцевом спектрофотометре; растворитель циклогексан, концентрация раствора $5 \cdot 10^{-6}$ м/л, толщина D-10 мм.

Данные эксперимента приведены в таблице.

(Поступило 16.V.1973)

Кафедра
органической химии

## ЛИТЕРАТУРА

1. А. И. Кахниашвили, Г. Ш. Глонти, Ш. И. Джиджеишвали, Тр. ТГУ, т. 104, 1964, 301.
2. А. И. Кахниашвили, Г. Ш. Глонти, ЖОХ, 9, 1965, 370.
3. И. Н. Назаров, Л. И. Кузнецова, Изв. АН СССР, ОХН, 3, 1941, 431,
4. Е. А. Викторова, Н. И. Шуйкин, Изв. АН СССР, ОХН, 6, 1961, 1094.
5. Т. А. Фаворская, ЖОХ, 9, 1963, 2916.
6. M. Griniard. C. R. Acad. sci. Paris, vol. 130, 1900, 1322; 132, 1901, 336.
7. А. И. Кахниашвили, Г. Ш. Глонти, ЖОРХ, т. 2, 1966, 327.

ა. კახნიაშვილი, გ. ღლონტი, ნ. ნადირაძე

## ფენოლის ალკილირება 1-ვინილციკლოპენტანოლ-1-ით

### რეზიუმე

ალკილირების რეაქციის მიმდინარეობის ხასიათზე უჯერი ციკლური სპირტის აგებულების გავლენის შესწავლის მიზნით ჩატარებულია ფენოლის ალკილირება 1-ვინილციკლოპენტანოლ-1-ით ფოსფორმჟავას თანდასწრებით.

ფენოლის ალკილირება წარიმართა აღნიშნული სპირტის იზომერიზაციის გზით და მიღებულია არა საწყისი, არამედ მისი იზომერული პირველადი სპირტის შესაბამისი მონოალკილატები: პარა-ჩანაცვლებული ალკენილ-ფენოლი, ორთო-ჩანაცვლებული ფენოლის ციკლიზაციის პროდუქტი—2-ციკლოპენტილკუმარანი და ფენოლო-ეთერი.

მიღებული მონოალკილატების აგებულება დადგენილია კვლევის ქიმიური და ფიზიკური მეთოდებით.

პარა-ჩანაცვლებული ალკენილფენოლის ჰიდრირებით მიღებულია შესაბამისი ალკილფენოლი. ამ ჰიდრირებული პროდუქტის შედარებით ნაჯერი 1-ეთილციკლო-

პენტანოლ-1-ით ალკილირებულ ფენოლთან დასაბუთებულია ალკენილირების რე-აქციაში 1-ვინილციკლოპენტანოლ-1-ის იზომერიზაციის ფაქტი.

პარა-ჩანაცვლებული ალკენილფენოლის აგებულება გარდა ჰიდრირებისა დადგენილია მისი მეთილის ეთერის დაჟანგვით, რის შედეგად გამოყოფილია: 4-მეთოქსიბენზოის მჟავა და ციკლოპენტანონი.

პარა-ჩანაცვლებული ალკენილფენოლის, მისი ჰიდრირების პროდუქტის და 1-ეთილციკლოპენტანო—1-ით ალკილირებული ფენოლის კონდენსაციით მონოქლორძმარმჟავასთან გამოყოფილია შესაბამისი არილოქსიძმარმჟავები.

სინთეზირებული და აღწერილია ლიტერატურაში უცნობი 9 ახალი ნაერთი, რომელთა აგებულება დასაბუთებულია სპექტროსკოპული კვლევის გზითაც.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета
А 10 (158), 1975



# დეკადიინ-4, 6-დიოლ-3, 8-ის, მისი ძმარმჟავა სრული ეთერის სინთეზი და კატალიზური ჰიდრირება

შ. მიქაძე, ნ. არევაძე

მეორადი $\alpha$-აცეტილენური კარბინოლების ჟანგვითი კონდენსაცია შესაბამისი დიაცეტილენური გლიკოლების მიღების მიზნით პირველად ჩატარებული იყო ი. ზალკინდისა და ი. გვერდწითელის მიერ (1). ნაჩვენებია, რომ მეორადი დიაცეტილენური გლიკოლების გამოსავლიანობა მცირეა, ხოლო პროპინ-1-ოლ-3-ის კონდენსაციის პროდუქტი მიღებულია უმნიშვნელო რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ პროპინ-1-ოლ-4-ის ($\beta$-აცეტილენური სპირტი) კონდენსაციის პროდუქტი კი მიიღება 85 % გამოსავლიანობით (2). შემდგომში შესწავლილი იყო მეორადი დიაცეტილენური გლიკოლების გამოსავლიანობაზე გამხსნელის (მეთილის სპირტი, წყალი) კატალიზატორის ($CuCl$, $NH_4Cl$) რაოდენობის, რეაქციის ხანგრძლივობისა და სხვათა გავლენა (3,4).

ჩვენ მიზნად დავისახეთ პროპინ-1-ოლ-3-ის ჟანგვით კონდენსაციაზე ტემპერატურისა და დამჟანგველის გავლენის შესწავლა. მრავალი ცდით დადგენილია, რომ რეაქციის ჩატარებისას 20—65°-მდე პროდუქტის გამოსავლიანობა იზრდება. ასევე, ჟანგვითი კონდენსაცია ჰაერთან შედარებით უპირატესად მიდის ჟანგბადის თანაობისას.

$$2CH_3CH_2CHOH-C\equiv CH\xrightarrow[O_2]{CuCl,\ NH_4Cl} CH_3CH_2CHOH-C\equiv C-C\equiv C=$$
$$=CHOH-CH_2CH_3$$

ჩატარებულია დეკადიინ-4, 6-დიოლ-3,8-ის ჰიდრირება $Pd/CaCO_3$-ის თანაობისას და გამოყოფილია შესაბამისი ნაჯერი გლიკოლი.

მეორადი დიაცეტილენური გლიკოლების რთული ეთერების შესახებ ლიტერატურაში ცნობები არ მოიპოვება. ჩვენ შევძელით მიგვეღო დეკადიინ-4, 6-დიოლ-3,8-ის, ძმარმჟავას სრული ეთერი გლიკოლზე ძმარმჟავა ანჰიდრიდის მოქმედებით უწყლო ნატრიუმის აცეტატის თანაობისას 90—100°C ტემპერატურაზე:

$$CH_3CH_2CHOH-C\equiv C-C\equiv C-CHOHCH_2CH_3+2\begin{array}{l}CH_3-C{=}O\\ \qquad\ \ \rangle O\\ CH_3-C{=}O\end{array}\rightarrow$$

$$\rightarrow\begin{array}{l}CH_3CH_2CH-C\equiv C-C\equiv C-CHCH_2CH_3+2CH_3COOH\\ \qquad\quad\ |\qquad\qquad\qquad\qquad\quad |\\ \qquad OCOCH_3\qquad\qquad\qquad\ OCOCH_3\end{array}$$

შესწავლილია აღნიშნული ეთერის კატალიზური ჰიდრირება $Pd/CaCO_3$-ის თანაობისას და დადგენილია, რომ პროცესი მიმდინარეობს ნორმალურად და საბოლოოდ მიიღება ნაჯერი ეთერი.

## ექსპერიმენტული ნაწილი

პენტინ-1, ოლ-3-ის ჟანგვითი კონდენსაცია. 500 მლ სამყელა კოლბაში, რომელსაც გაკეთებული ჰქონდა უკუმაცივარი, მექანიკური სარევი და გაზგამყვანი მილი, მოვათავსეთ 16,8 გ პენტინ-1-ოლ-3; 50 გ CuCl, 53,5 გ $NH_4Cl$ 200 მლ მეთილის სპირტი და 200 მლ გამოხდილი წყალი. ნარევის pH—6. მუდმივი მორევის პირობებში სარეაქციო ნარევში ვატარებდით ჟანგბადს 10 საათის განმავლობაში. რეაქციის პროდუქტი დავამუშავეთ მ რილმჟავით შემჟავებული წყლით, გამოვწვლილეთ ეთერით. ეთერხსნარი გავაშრეთ ნატრიუმის სულფატით, ეთერის მოცილებისა და დარჩენილი სითხის ფრაქციონირების შედეგად მივიღეთ დეკადიინ-4,6-დიოლ-3,8: დუღ. ტემპ. 146—148°C 1 მმ (გამოსავლიანობა 8,3 გ ანუ 25,3%. იგი არის ბლანტი მოყვითალო ფერის სითხე. აქვს თავისებური სუნი. არ იხსნება წყალში და კარგად იხსნება ორგანულ გამხსნელებში. $n_D^{20}$— 1,5160; $d_4^{20}$— 1,0545; MR — 47,54; MR გამოთვლილი 47,42. ნაპოვნი %: C 69,27; H 8,16. $C_{10}H_{14}O_2$ გამოთვლილი %: C 70,28; H 8,16. 0,1341 გ. ნივთიერება; t—22°; p—730 მმ; $CH_4$—39,6 მლ; ნაპოვნი %; OH 19,5, $C_{10}H_{12}(OH)_2$ გამოთვლილი %: OH—20,4.

დეკადიინ-4, 6-დიოლ-3,8-ის ძმარმჟავა სრული ეთერის სინთეზი. ჩვეულებრივად მომზადებულ 100 მლ სამყელა კოლბაში მოვათავსეთ 3 გ დეკადიინ-4,6-დიოლ—3,8; 9,6 გ ძმარმჟავა ანჰიდრიდი და 0,5 გ უწყლო ნატრიუმის აცეტატი. მუდმივი მორევის პირობებში სარეაქციო ნარევი ვაცხელეთ 90—100°C, 8 საათის განმავლობაში. მიღებული პროდუქტი დავამუშავეთ წყლით, გავანეიტრალეთ სოდით, გამოვწვლილეთ ეთერით. ეთერხსნარი გავაუწყლოეთ ნატრიუმის სულფატით. ეთერის მოცილების შემდეგ დარჩენილი სითხე გამოვხადეთ შემცირებული წნევის ქვეშ. რამდენჯერმე ფრაქციონირების შემდეგ გამოვყავით დეკადიინ-4,6-დიოლ-3,8 ის ძმარმჟავას სრული ეთერი. დუღ. ტემპ. 140°C 1 მმ (გამოსავლიანობა 2 გ ანუ 44,44%. იგი არის ადვილად მოძრავი მოყვითალო, დამახასიათებელი სუნის მქონე სითხე. $n_D^{20}$—1,4750; $d_4^{20}$—1,0562; MR—66,15; MR—გამოთვლილი 66,63. ნაპოვნი %: C 67,20 H 7,20; $C_{14}H_{18}O_4$ გამოთვლილი % C 67,57; H 7,69;

დეკადიინ-4,6-დიოლ-3,8-ის და მისი ძმარმჟავა სრული ეთერის კატალიზური ჰიდრირება $Pd/CaCO_3$-ის თანაობისას. ჰიდრირებისათვის ვიღებდით 0,01 გ/მოლ ნივთიერებას, 1 გ კატალიზატორს და 50 მლ ეთილის სპირტს. მიუერთეთ რა 4 მოლი წყალბადი, ჰიდრირება შევწყვიტეთ. ჰიდრირების პროდუქტს კატალიზატორი მოვაცილეთ გაფილტვრით, სპირტი კი გადადენით. დარჩენილი პროდუქტი გავხსენით ეთერში. ეთერხსნარი გავაუწყლოეთ $Na_2SO_4$-ით და ეთერის მოცილების შემდეგ გამოვყავით დეკანდიოლ—3.8. დუღ. ტემპ. 99°C 2 მმ. იგი არის მოყვითალო ფერის ადვილად მოძრავი სითხე, დამახასიათებელი სუნით. $n_D^{20}$—1,4460; $d_4^{20}$—0,8997; MR—51,57; MR გამოთვლილი—51,43. ნაპოვნი %: C 68,28, H 12,45; გამოთვლილი %: C 68,96; H 12,64.

ძმარმჟავადეკადიინ-4,6-დიოლ-3,8-ის სრული ეთერის ჰიდრირებით მივიღეთ შესაბამისი ნაჯერი ეთერი-ძმარმჟავადეკანდიოლი. დუღ. ტემპ. 104°C 8 მმ. იგი არის უფერო ადვილადმოძრავი სითხე დამახასიათებელი სუნით, $n_D^{20}$ — 1,4300; $d_4^{20}$—0,9518; MR—70,016; MR გამოთვლილი 69,92. ნაპოვნი %: C 65,00; H 9.88; $C_{14}H_{26}O_4$ გამოთვლილილი %: C 65, 62: H 10,15.

## დასკვნები

ჩატარებულია ექსპერიმენტული კვლევა ეთილაცეტილენილკარბინოლის ჟანგვითი კონდენსაციისათვის. პირველადაა სინთეზირებული და აღწერილი მეორადი დიაცეტილენური გლიკოლი—დეკადიინ-4,6-დიოლ-3,8 და დეკადიინ-4,6-დიოლ-3,8-ის ძმარმჟავა სრული ეთერი.

ჩატარებულია დეკადიინ-4,6-დიოლ-3,8-ის და დეკადიინ-4,6-დიოლ-3,8 ძმარმჟავა სრული ეთერის ჰიდრირება $Pd/CaCO_3$-ის თანაობისას და პირველადაა გამოყოფილი და შესწავლილი შესაბამისი ნაჯერი გლიკოლი-დეკანდიოლ-3,8 და ძმარმჟავადეკანდიოლის სრული ეთერი.

(შემოსულია 18.VI. 1973) ანალიზური ქიმიის კათედრა

## ლიტერატურა

1. Ю. С. Залькинд, И. М. Гвердцители, ЖОХ. т. 9, 1939, стр. 971.
2. J. B. Armitage, G. L. Cook, N. Entwistle, E. R. H. Jones, M. C. Whiting, J. Chem. Soc. 1952. 1998,
3. K. Bowden, J. Heilbron; E. R. H. Iones, K. H. Sargent, J. Chem. Soc., 1947, 1579.
4. И. Л. Котляровский, М. С. Шварцберг, Л. Б. Фишер, Реакции ацетиленовых соединений, Новосибирск. 1967, стр. 177.
5. М. Ф. Шостаковский, А. В. Богданова, Химия диацетилена, 1971, стр. 182.

Ш. Г. МИКАДЗЕ, Н.Г. АРЕВАДЗЕ

## СИНТЕЗ И КАТАЛИТИЧЕСКОЕ ГИДРИРОВАНИЕ ДЕКАДИИН-4.6-ДИОЛА-3,8 И ЕГО УКСУСНОКИСЛОГО ПОЛНОГО ЭФИРА

### Резюме

Проведено экспериментальное исследование окислительной конденсации этилацетиленилкарбинолов. Впервые синтезированы и описаны вторичный диацетиленовый гликоль—декадиин-4,6-диол-3,8 и полный эфир уксуснокислого декадиин-4,6-диола-3,8.

Проведено гидрирование декадиин-4,6-диола-3,8 и полного эфира у уксуснокислого декадиин-4,6-диола-3,8 в присутствии катализатора.

Впервые выделены и изучены соответствующие насыщеный гликоль —декандиол-3,8 и полный эфир уксуснокислого декандиола.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета
A 10 (158), 1975



# ФИЗИКО-ХИМИЧЕСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ МИНЕРАЛЬНЫХ ВОД РАЙОНОВ БОРЖОМИ И АХАЛЦИХЕ

К. А. ГАМСАХУРДИЯ, С. А. БЕРУЧЬЯН, Л. С. ХИНТИБИДЗЕ,
Т. В. АРЕШИДЗЕ, Т. Г. МАЦАБЕРИДЗЕ, К. И. ГРИГАЛАШВИЛИ

В работе представлен материал физико-химического исследования минеральных вод районов Боржоми и Ахалцихе.

Для выполнения поставленной задачи с целью обогащения фактического материала о химическом составе минеральных вод районов Боржоми и Ахалцихе было исследовано содержание макрокомпонентов, состав спонтанных газов и установлены кислотно-основные и окислительно-восстановительные равновесные системы [I].

Одновременно с установлением физико-химических показателей вод проводились исследования по усовершенствованию существующих методов. Определение всех быстро изменяющихся компонентов воды производили на месте отбора пробы. Анализ более стабильных компонентов выполнялся в течение 1 — 7 дней, после отбора пробы и доставки их в лабораторию.

Результатами исследований (табл. I) выявлено, что минеральные воды изученных районов Боржоми и Ахалцихе в основном являются железистыми, углекисло-гидрокарбонатно-кальциевыми или натриевыми, типа холодного нарзана. Имеются также среди них сернистые и хлорнатриевые воды [2]. Величины Eh зависят, в основном, от концентрации ионов двухвалентного железа и от сероводорода. При совместном присутствии обоих компонентов сказывается влияние $H_2S$, ничтожные следы которого заметно понижают Eh.

В углекисло-гидрокарбонатных железистых водах Боржоми, при характерных для них в интервале значениях pH 6 — 7, колебания величин Eh, в основном, находятся в пределах от +195 mv до +260 mv.

При изменении концентрации $Fe^{2+}$ от 15 мг до 30 мг и выше замечено соответствующее понижение Eh, но не резкое. Пределы изменения Eh вмещаются в указанные интервалы значений величин Eh (+195mv+-+250mv). Обе величины pH и Eh измерены электрометрическими методами, pH — стеклянным электродом, а Eh — платиновыми тонкослойными электродами и гладкими платиновыми электродами. Измерения pH проведены параллельно и калориметрическими методами [3].

Таблица 1

**Химический состав источников Боржомского и Ахалцихского районов**

| Наимен. места | № источн. | $t^0$ | pH | Eh mv | МГ/Л $K^+$ | $Na^+$ | $Ca^{2+}$ | $Mg^{2+}$ | $Fe^{2+}$ | $Cl^-$ | $SO_4^{2-}$ | $HCO_3^-$ | $CO_2$ | $H_2S$ | Формула Курлова |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| Гуджарети | 1 | 7 | 6,10 | 220 | 7,40 | 1557,33 | 182,00 | 146,40 | 24,50 | 2285,00 | 26,40 | 1525,00 | 1610,00 | 2,23 | $M_{5,75}\frac{Cl\,71\ HCO_3\,23}{Na\,75}$ |
| | 2 | 8 | 6,80 | — | 7,40 | 132,71 | 1,20 | 1,49 | 1,68 | 204,60 | 4,80 | 12,20 | нет | нет | $M_{0,37}\frac{Cl\,95}{Na\,94}$ |
| | 3 | 19 | 7,20 | — | 7,40 | 44,60 | 5,80 | нет | 7,92 | 79,50 | 9,60 | 61,00 | » | 7,14 | $M_{0,16}\frac{Cl\,88}{Na\,76}$ |
| | 4 | 16 | 6,80 | — | 51,80 | 1463,00 | 190,00 | 698,40 | 25,76 | 1218,00 | нет | 6026,00 | 880,00 | 3,79 | $M_{9,67}\frac{HCO_3\,74\ Cl\,26}{Na\,48\ Mg\,44}$ |
| | 5 | 14 | 6,10 | — | 22,20 | 304,75 | 424,00 | 170,00 | 3,40 | 37,20 | 19,20 | 2916,00 | 880,00 | 2,55 | $M_{3,89}\frac{HCO_3\,97}{Ca\,43\ Mg\,29\ Na\,27}$ |
| Цинубан — Вардевани | 7 | 11 | 6,90 | 140 | 7,40 | 2964,00 | 80,00 | 137,00 | 4,25 | 1705,00 | нет | 5527,00 | 1100,00 | 1,20 | $M_{10,42}\frac{HCO_3\,64\ Cl\,55}{Na\,93}$ |
| | 8 | 13 | 5,90 | 232 | 22,20 | 188,60 | 396,00 | 100,80 | 4,81 | 40,30 | нет | 2196,00 | 932,80 | 2,89 | $M_{2,94}\frac{HCO_3\,97}{Ca\,53\ Na\,22}$ |
| | 12 | 9 | 6,20 | — | 22,20 | 468,00 | 592,00 | 151,20 | 21,28 | 78,85 | 4,80 | 3135,40 | 1800,00 | 2,58 | $M_{4,43}\frac{HCO_3\,96}{Na\,38\ Ca\,36\ Mg\,24}$ |
| Мачарцхали | 16 | 9 | 6,10 | 540 | 22,20 | 720,00 | 380,0 | 177,60 | 17,02 | 458,80 | 14,40 | 3245,00 | 980,00 | 5,44 | $M_{5,03}\frac{HCO_3\,80\ Cl\,20}{Na\,47\ Ca\,29\ Mg\,22}$ |
| | 18 | 14 | 7,20 | 351 | 22,20 | 2541,30 | 13,80 | 39,96 | нет | 1920,45 | нет | 5720,00 | 590,00 | 2,10 | $M_{8,26}\frac{HCO_3\,53\ Cl\,47}{Na\,96}$ |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Тимотес убани | 20 | 9 | 8,40 | 360 | 7,40 | 115,69 | 71,70 | 8,28 | 6,38 | 241,80 | 86,40 | 60,00 | 70,40 | 5,78 | $M_{0,59}\frac{Cl\ 71}{Na\ 52\ \ Ca\ 37}$ |
| | 21 | 8 | 5,70 | 446 | 7,40 | 97,06 | 102,00 | 21,60 | 2,12 | 91,45 | 4,80 | 529,20 | 1050,00 | 5,40 | $M_{0,86}\frac{HCO_3\ 76\ \ Cl\ 23}{Ca\ 45\ \ Na\ 37}$ |
| | 22 | 11 | 5,70 | 293 | 7,40 | 789,82 | 313,20 | 110,00 | 21,28 | 1134,00 | нет | 1695,80 | 1630,00 | нет | $M_{4,07}\frac{Cl\ 53\ \ HCO_3 47}{Na\ 57\ \ Ca\ 26}$ |
| | 23 | 13 | 5,90 | 197 | 51,80 | 895,59 | 29,12 | 200,80 | 20,20 | 34 ,20 | 57,60 | 2915,80 | 2060,00 | 5,46 | $M_{4,50}\frac{HCO_3\ 81}{Na\ 66\ \ Mg\ 28}$ |
| | 24 | 12 | 5,80 | 245 | 22,20 | 871,90 | 21,57 | нет | 19,04 | 136,40 | 31,20 | 2159,40 | 1300,00 | нет | $M_{3,26}\frac{HCO_3\ 89}{Na\ 94}$ |
| Боржоми-Ликани | 28 | 31 | 8,50 | — | 22,20 | 96,37 | нет | нет | 3,80 | 82,22 | 9,60 | 140,30 | нет | 7,20 | $M_{0,35}\frac{HCO_3\ 48\ \ Cl\ 48}{Na\ 87}$ |
| | 29 | 30 | 8,00 | — | 7,40 | 432,17 | „ | „ | 2,24 | 418,50 | 4,80 | 463,60 | „ | 5,10 | $M_{1,33}\frac{Cl\ 60\ \ HCO_3\ 39}{Na\ 96}$ |
| | 30 | 33 | 7,10 | — | 66,60 | 1658,1 | 136,40 | 208,00 | 2,24 | 393,70 | 4,80 | 3818,60 | — | | $M_{6,29}\frac{HCO_3\ 85}{Na\ 65}$ |
| Цихис-джвари | 32 | 11 | — | — | — | 128,8 | 60,50 | 2,97 | 8,90 | 186,00 | 57,6 | 219,60 | — | 3,23 | $M_{0,59}\frac{Cl\ 53\ \ HCO_3\ 36}{Na\ 66\ \ Ca\ 30}$ |
| | 33 | 31 | 5,59 | — | 7,40 | 47,25 | нет | нет | 2,8 | 66,65 | 19,2 | 24,40 | 150,00 | 12,02 | $M_{0,17}\frac{Cl\ 70}{Na\ 77}$ |
| Ахалцихе | 37 | 18 | 6,19 | — | 22,20 | 1456,36 | 27,00 | 4,32 | 8,30 | 1444,85 | 384,0 | 1049,20 | 1600,00 | 2,59 | $M_{3,37}\frac{Cl\ 62\ \ HCO_3\ 26}{Na\ 96}$ |
| | 39 | 47 | 7,00 | — | 66,60 | 3633,82 | 109,00 | 35,10 | 5,32 | 2306,40 | 768,0 | 5429,00 | 1350,00 | 7,45 | $M_{12,35}\frac{HCO_3\ 52\ \ Cl\ 39}{Na\ 94}$ |
| | 41 | 15 | 6,00 | — | 51,80 | 235,98 | 218,40 | 216,00 | 13,3 | 113,15 | 19,2 | 2281,40 | 1500,00 | 5,29 | $M_{3,16}\frac{HCO_3\ 91}{Mg\ 44\ \ Ca\ 27\ \ Na\ 25}$ |
| | 42 | 23 | 6,00 | — | 22,20 | 68,54 | нет | нет | 3,19 | 49,6 | 38,4 | 85,40 | нет | 6,19 | $M_{0,17}\frac{HCO_3\ 39\ \ Cl\ 38\ \ SO_4\ 22}{Na\ 83}$ |

Таблица 2

Газовый состав минеральных вод Боржомского и Ахалцихского районов

| № источника | Состав спонтанных газов в % | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | $CO_2$ | $O_2$ | $CH_4$ | $N_2+$ инертные газы | Сумма |
| 1 | 97,87 | 0,22 | нет | 1,88 | 99,97 |
| 4 | 58,85 | 0,89 | 15,19 | 25,04 | 99,97 |
| 5 | 96,76 | 0,17 | 0,64 | 2,41 | 99,98 |
| 7 | 41,22 | 9,79 | 2,75 | 46,22 | 99,98 |
| 8 | 36,51 | 11,17 | 1,55 | 50,76 | 99,99 |
| 12 | 90,99 | 0,69 | нет | 8,31 | 99,99 |
| 20 | нет | нет | 100,0 | нет | 100,0 |
| 23 | 97,01 | 0,52 | не опр. | не опр. | 97,53 |
| 33 | нет | 10,45 | 9,17 | 80,38 | 100,00 |

Характерной для газового состава минеральных вод Боржоми (табл. 2) является насыщенность их двуокисью углерода, встречаются азотистые и метановые воды.

Минеральные воды, содержащие в газовом составе азот и метан, характеризуются повышенной минерализацией и обязательным содержанием небольших количеств сероводорода.

Замечено также, что воды, насыщенные метаном, имеют слабощелочную реакцию pH 8,2 — 8,4 и сравнительно низкие значения Eh.

Окислительно-восстановительный потенциал в природных водах в большой степени зависит от газового состава вод $H_2S$, $CH_4$ [4].

## ВЫВОДЫ

Установлены типы вод и выявлена закономерная зависимость между химическим составом вод и физико-химическими показателями.

(Поступило 4. VII. 1973)

Кафедра
аналитической химии

## ЛИТЕРАТУРА

1. А. А. Резников, Е. П. Муликовская, И. Ю. Соколов, Методы анализа природных вод. Москва, 1970.
2. С. С. Чихелидзе, Природные ресурсы Грузинской ССР, т. III, 1961.
3. М. С. Захарьевский, Оксредметрия, М., 1967.
4. ქ. გამსახურდია, ს. ბერუჩიანი, ლ. ხინთიბიძე, თ. არეშიძე, თბილ. სახ. უნივ. შრომები, ტ. 126, 1968.

ქ. გამსახურდია, ს. ბერუჩიანი. ლ. ხინთიბიძე,
თ. არეშიძე, თ. მაცაბერიძე, ქ. გრიგალაშვილი

## ბორჯომის და ახალციხის რაიონების მინერალური წყლების ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევა

### რეზიუმე

ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევის შედეგად დადგენილია წყლის ტიპი და გამოვლინებულია დამოკიდებულება რკინისა და სულფიდ იონების შემცველობასა და ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალის სიდიდეს შორის.

შესწავლილია სპონტანური გაზების შემცველობა და დადგენილია, რომ წყლების უმრავლესობა შეიცავს $CO_2$-ს. ნაპოვნია მეთანისა (100%) და აზოტის (80%) შემცველი წყლებიც.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета
А 10 (158), 1975

# ჯვრის უღელტეხილის რაიონისა და თრუსოს ხეობის (მდ. თერგის ზემო წელი) ახალგაზრდა ვულკანური წარმონაქმნების შესახებ

ნ. სხირტლაძე, ნ. ძოწენიძე

საქართველოს სამხედრო გზის ის მონაკვეთი, რომელიც ჯვრის უღელტეხილის რაიონს მოიცავს, ბევრ მოგზაურსა და გეოლოგს უნახავს, მაგრამ ამ უბანზე გავრცელებული ახალგაზრდა ვულკანური წარმონაქმნები სპეციალურად შესწავლილი ბოლო დრომდე არ ყოფილა.

გეოლოგიური გამოკვლევებიდან, რომლებიც ჯვრის უღელტეხილს და მიმდებარე რაიონებს შეეხებიან, პირველ რიგში აღსანიშნავია ფ. ლევინსონლესინგის (3), ვ. რენგარტენის (8), პ. პაფენგოლცის (6), ე. მილანოვსკისა და ნ. კორონოვსკის (5), ო. შირიაშვილისა და ი. ვაშაკიძის შრომები, რომლებშიც გაშუქებულია დანალექი წყებებისა და ზოგიერთი ვულკანოგენი წარმონაქმნის სტრატიგრაფიის საკითხები. ამავე უღელტეხილის რაიონს შეეხებიან აგრეთვე ა. რეინგარდის (7), ლ. მარუაშვილის (4), დ. წერეთლის (10) და ი. აფხაზავას გამოკვლევები, რომლებიც ძირითადად გეომორფოლოგიური ხასიათის არიან.

ჯვრის უღელტეხილის ფარგლებში ახალგაზრდა ვულკანების შესწავლა ამ სტრიქონების ავტორებმაც ჩაატარეს (2,9), რომლებმაც აღწერეს ყელის ზეგანის აღმოსავლური დაბოლოების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ მდ. არაგვის ხეობას ებჯინება დასავლეთ მხრიდან და, ნაწილობრივ, უღელტეხილის ფარგლებშიც შემოდის. ჩვენი ადრინდელი და ახალი დაკვირვების მიხედვით ყელის ზეგნის მხრიდან შემოსული ლავის ნაკადი უღელტეხილის უკანასკნელ აღმართს იკავებს და სულ მალე მეტეროლოგიური სადგურის მიდამოებში ნაყარის ქვეშ იძირება. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ნაკადის სამხრეთ-დასავლეთი კიდე მდ. არაგვის ხეობის მარცხენა ბორტში ვერტიკალური კარნიზით წყდება; ამასთან, ნაკადის ფუძე, რომელიც აქ საკმაოდ დაბლა იმყოფება, არაგვის მარჯვენა ბორტში წარმოდგენილ ზევიდან მეორე ნაკადის შესატყვის დონეს იკავებს. ხოლო, რაც შეეხება ნაკადის თანამედროვე ეროზიულ ზედაპირს, იგი არაგვის მარჯვენა მხარეზე მდებარე სულ ზედა ლავურ პლატოსთან შედარებით, რამდენადმე მაღალიც კია და ამიტომ ჯვრის უღელტეხილის ყველაზე მაღლა მდებარე ლავური სხეულის ზედაპირის შესატყვისი რელიეფის გაგრძელება არაგვის მარჯვენა ნაპირის პლატოსებურ თანამედროვე რელიეფში თითქოს არ შეინიშნება. უთუოდ ამის გამოა, რომ ზოგი მკვლევარი უშუალოდ უღელტეხილზე დამოუკიდებელი ვულკანური ცენტრის არსებობას ვარაუდობს (7), მაგრამ ამ მოსაზრების დამადასტურებელი სხვა ფაქტობრივი მონაცემები არაფერია მითითებული. ამიტომ უფრო დასაბუთებულად გვეჩვენება ჩვენ მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება (9) ამ ლავების ამოფრქვევის ცენტრის ყელის ზეგნის აღმოსავლეთ კიდეზე მდებარეობის შესახებ.

ჩვენი მონაცემები კი ძირითადად იმას ემყარება, რომ ანალოგიური ლავები განვითარებულია ვულკანურ პატარა ნეფისკალოს კალდერის სამხრულ პერიფერიაზე აღმართულ წვერმოკვეთილ კონუსურ სიმაღლეში და აგრეთვე უღელტეხილთან არაგვის ხეობის ბორტებში (ჭრილში ზევიდან მეორე ნაკადი). აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ კონუსის ფუძე პატარა ნეფისკალოსწინა პლატოს ზედაპირიდან 250—300 მ მაღლა მდებარეობს. ცხადია, აქედან ლავის ნაკადის გამოდინება ჯვრის უღელტეხილის მიმართულებით სავსებით შესაძლებელი იქნებოდა. მართალია, დღეს, უშუალო კავშირი აღნიშნულ კონუსსა და ჯვრის უღელტეხილის ლავებს შორის ადრინდელი ეროზიითა და ახალგაზრდა ლავური ნაკადების გადაფარებით არის შენიღბული, მაგრამ ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას კარგად ადასტურებს ხსენებული ლავების პეტროგრაფიული შედარება; ანალიზები გვიჩვენებს, რომ ჯვრის უღელტეხილის რაიონში, ასევე წვერმოვაკებულ კონუსში და არაგვის ხეობის ჭრილში სავსებით ერთნაირი ბუნების ანდეზიტდაციტებია განვითარებული.

ამრიგად, არსებული ფაქტობრივი მასალის მიხედვით უსაფუძვლო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ჯვრის უღელტეხილის ლავების ანალოგები არ დაგვენახა ყელის ზეგნის აღმოსავლეთ ნაწილის და კერძოდ ვულკანური მასივის—პატარა ნეფისკალოს ამოფრქვევის პროდუქტებს შორის. აქედან გამომდინარე, დასაშვებად მიგვაჩნია ჯვრის უღელტეხილის ფარგლებში ანდეზიტდაციტის ნაკადის შემოსვლა. დასავლეთის მხრიდან, კერძოდ კი, პატარა ნეფისკალოს ერთ-ერთი ვულკანური ცენტრიდან.

ახლა საჭიროა გაირკვეს საკითხი, თუ სანამდე გრძელდებოდა აღნიშნული ნაკადი ჯვრის უღელტეხილიდან ჩრდილოეთით—მდ. ბიდარას ხეობაში,

ადრინდელი მკვლევარებიდან პირველი ვ. პ. რენგარტენი (8) იყო, რომელმაც ჯვრის უღელტეხილიდან ლავის ნაკადის გავრცელება ბიდარას ხეობის გასწვრივ წარმოგვიდგინა. მან სათანადო გეოლოგიურ რუკაზეც კი გამოხატა ლავური ნაკადის უწყვეტი გამოსავლები და უჩვენა მისი გავრცელება უშუალოდ უღელტეხილიდან დაწყებული, ვიდრე სოფ. კობის მისადგომებამდე. ვ. პ. რენგარტენის ეს მონაცემები დიდხანს სადავოდ არავის გაუხდია. მოგვიანებით, ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა (9) ამ რაიონში ჩატარებული მუშაობის საფუძველზე, მდ. ბიდარას ხეობის გასწვრივ უწყვეტი ნაკადის ადგილზე ლავის რამდენიმე იზოლირებული სხეულის არსებობა აჩვენა. მაგრამ უკანასკნელ ხანს, სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვეყნდა (1) საქართველოს სამხედრო გზის გეოლოგიური აგებულების სქემა, რომელზეც მდ. ბიდარას გასწვრივ კვლავ ლავის ნაკადის უწყვეტი გავრცელებაა ნაჩვენები, რაც აშკარა გაუგებრობაა, მით უფრო, რომ ამ ნაშრომში ჯვრის უღელტეხილის ლავები საძელის ვულკანურ ცენტრთან არიან დაკავშირებული. შევნიშნავთ, რომ საძელის ლავებს, არც სივრცობრივად და არც პეტროგრაფიულად, არავითარი კავშირი არა აქვს ჯვრის უღელტეხილის ლავებთან.

აღნიშნული საკითხი რომ უფრო ნათელი გახდეს, დავიმოწმებთ ახლადმოპოვებულ ფაქტობრივ მასალას. როგორც ზევით უკვე ვთქვით, ჯვრის უღელტეხილის ლავური ნაკადის ზენაჩენი მხოლოდ მეტეოროლოგიური სადგურის მიდამოებში ჩანს. სწორედ ამ ადგილებიდან იკრებს სათავეს მდ. ბიდარა. ხეობის ეს ნაწილი მნიშვნელოვნად განიერი და მოვაკებულია. მდინარე მეანდრებით მიედინება თანამედროვე ნალექებში. უკანასკნელთა სიმძლავრე კი იმდენად დიდია, რომ ხეობის ფსკერის ამგები ძირითადი ქანების დანახვა შეუძლებელია, მაგრამ

უღელტეხილიდან დაახლოებით 1,5 კმ-ზე, მდ. ბიდარას სათავეების ერთ-ერთი მარჯვენა შენაკადის შუა ნაწილში წითელი და რუხი ფერის ანდეზიტ-დაციტების ლოდნარი გამოჩნდება. რამდენადმე ქვევით, ვიდრე ბიდარას პირველ ხიდამდე მივიდოდეთ, ხეობის ბორტებში ვულკანიტის ძირითადი გამოსავლებია (1 გამოსავალი). ვულკანიტი ხეობის გასწვრივ 40—50 მ ვრცელდება, ხოლო ბორტებში 10—12 მ სიმაღლეზე ადის. ამ გამოსავლების ერთი ნაწილი ბიდარას ერთ-ერთი მარცხენა შენაკადის კალაპოტში (1 გალერეასთან გვერდით) ჩანს. საყურადღებოა, რომ ლავური სხეული უმთავრესად წითელი და, იშვიათად, რუხი ფერის, აშკარად ბრექჩიული აგებულების ანდეზიტ-დაციტებით არის წარმოდგენილი. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ამ უბანზე თითქოსდა ნეკის ნაშთი უნდა გვქონდეს. მაგრამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას ცუდი გაშიშვლების პირობები ართულებს.

ამის შემდეგ ხეობაში 400—500 მ მანძილზე ძირითადად არაფერი ჩანს, მაგრამ მალე ხეობის ფსკერზე და ზოგან ბორტებშიც, უბან-უბან გამოჩნდება მონაცრისფრო-მოწითლო ფერის ანდეზიტ-დაციტები (II გამოსავლები), რომელთა ბოლო გამოსავლები ნარზანის წყაროს ქვემოთ აღინიშნება, აქ კი მასიურთან ერთად ბრექჩიული ლავაც არის. წყალგაღმა, 50—70 მ მანძილზე კვლავ დანალექი ქანების მძლავრი ნაყარია, მაგრამ მინერალური წყაროს ქვევით მდებარე ხიდის ქვეშ, მდინარის უშუალო კალაპოტში ორი უბნისაგან შემდგარი ანდეზიტ-დაციტური ლავის სხეული ჩანს (III გამოსავლები). ლავა ხეობის გასწვრივ 35—45 მ მანძილზე გაიდევნება, ბორტებში კი 20—25 მ სიმაღლემდე ადის. ისე, როგორც წინა შემთხვევაში, აქაც ქვედა ნაწილში ძირითადად რუხი ფერის მასიური, ოღონდ ოდნავ ბრექჩიული ანდეზიტ-დაციტები გვაქვს.

ლავის ამ გამოსავლების შემდეგ მცირე მანძილზე ისევ ნაყარია, მაგრამ მალე ხეობის მარცხენა ბორტში ლოდბრექჩიები გამოჩნდება. ბრექჩიები თითქოსდა ზედაპირულ მერგელოვანი წყების ქანებზე არიან მილექილი და თანაც ზემოაღნიშნულ ანდეზიტ-დაციტურ სხეულებს თავზე ეფარებიან.

წყალგაღმა ერთხანს კვლავ ნაყარია, შემდეგ კი ისევ ანდეზიტ-დაციტური ლავებია (IV გამოსავლები).

ლავური სხეულის ეს გამოსავლები, რომელიც თითქმის ერთ კილომეტრზე გაიდევნება, უწყვეტლივ გასდევს ხეობის ფსკერს და ბორტებშიც შედის. ლავური სხეულის ზედაპირი არასწორია; ხშირია ჩადაბლებები და ზურგობები. უკანასკნელნი ძირითადად პოროვანი, ოდნავ ბრექჩიული, წითლად „შეფერილი" ანდეზიტ-დაციტებით არის აგებული. აშკარაა, რომ აქ ძველი ნაკადის პირველად ტალღურ ზედაპირთან გვაქვს საქმე. აღმავალ ჭრილში ამ ნაკადს დაციტური ლოდბრექჩიების მძლავრი ფენა აქვს გადაფარებული.

ანდეზიტ-დაციტური ლავის კიდევ ერთი იზოლირებული უბანი (V გამოსავლები) აღინიშნება მდ. საძელის ხევის ქვედა ნაწილში. ჯვრის უღელტეხილის პირველი აღმართის დასაწყისში, სოფ. კობის მხრიდან, თუმცა ლავის ფუძე არც აქ არის გაშიშვლებული, მაგრამ გამოსავლების ზედაპირი ჰიფსომეტრიულად თითქოს იმავე დონეზეა. როგორც ეს წინა შემთხვევაში იყო. აქაც ამ ლავებს დაციტური ლოდბრექჩიების მძლავრი ფენა აქვს გადაფარებული.

ამგვარად, მდ. ბიდარაზე, თუ არ ჩავთვლით საკუთრივ ჯვრის უღელტეხილის უბანს, ლავის ხუთი იზოლირებული გამოსავალია, ამათგან ყველა ისინი ძირითადად ხეობის ფსკერსა და ბორტებშია გაშიშვლებული. საყურადღებოა ისიც, რომ ლავურ სხეულს ზოგ გამოსავალში მეტნაკლებად კარგად გამოხატული ბრექჩიული ზონები ახლავს, უმთავრესად კიდეებში და ზედაპირზე. ამასთან, იქ,

სადაც მდინარეს ლავის კიდე გაუშიშვლებია, დაბრექჩიებული ლავაა გამოჩენილია, ხოლო იქ, სადაც მდინარე ნაკადის ცენტრისკენაა შეჭრილი, მასიური ლავაა გაშიშვლებული. რომ აქ ერთი და იგივე ნაკადის ცალკეული უბნები არის, ამას მათი საოცრად ერთგვაროვანი პეტროგრაფიული და ქიმიური შედგენილობაც ადასტურებს. ისე, რომ ყველა ნიშნით მდ. ბიდარაზე ეროზიით ცალკე უბნებში გაშიშვლებული და ზოგან დაწყვეტილი ლავური ნაკადი გვაქვს.

ბიდარას ხეობა საინტერესო აღმოჩნდა აგრეთვე დაციტური პიროკლასტური მასალის (ლახარული ბრექჩიების) გავრცელების თვალსაზრისით. უკანასკნელთა პირველი ზენაჩენი, ნარზანის წყაროების ქვემოთ მდებარე ხიდის ახლოს აღინიშნება ხეობის ორივე ბორტში; დასაწყისში მათი სიმძლავრე 5—10 მეტრია, მაგრამ ქვემოთ სიმძლავრეში თანდათანი მატებით, განსაკუთრებით, ხეობის მარჯვენა მხარეზე, მდ. ბიდარას კალაპოტიდან დაწყებული საკმაოდ დიდ სიმაღლეზე ადის და საძელის წყალის სათავეებში, საძელის ვულკანური გუმბათის ფუძეში შედის. საძელის წყლის სათავეებში და მდ. ბიდარის მარჯვენა მხარეზე




ნახ. 1. მდ. ბიდარის ხეობის სქემატური გეოლოგიური რუკა (ნ. სხირტლაძისა და ნ. ძოწენიძის მიხედვით)

1. ანდეზიტ-ბაზალტები; 2. ანდეზიტ-დაციტები; 3. დაციტური ბრექჩიები; 4. დაციტები, 5. ზედა იურულ-ქვედა ცარცული ფლიში; 6. ზედაიურული კარბონატული წყება.

ლოდბრექჩიებს ზემოდან მყინვარეული და თანამედროვე ნალექები აქვთ გადაფარებული ისე, რომ დაციტური ლოდბრექჩიები მყინვარებით (თუ ეროზიის) გამო-

მუშავებულ ხეობაში არიან აღმოსავლეთ მხრიდან (საძელეს ვულკანური მასივიდან) შემოსული და ზემოდან ეფარებიან ბიდარის ვულკანური ცენტრის ლავებს.

იმის გამო, რომ ლოდბრექჩიების ზოლის ეროზიულ პროცესებს გადარჩენილი უბნები თანამედროვე ხეობის ფსკერიდან 80—100 მ სიმაღლეზე არიან შემორჩენილი, მათი წარმოშობის დრო შუა მეოთხეულის ფარგლებში უნდა თავსდებოდეს. რაც შეეხება მათ ქვეშმდებარე ვულკანურ ცენტრებთან დაკავშირებულ ეფუზიებს, ისინი შუამეოთხეულზე ძველი უნდა იყოს.

მდ. თერგის სათავეებში (თრუსოს ხეობის ფარგლებში), ზედაიურულ—ქვედაცარცულ ფლიშის გავრცელების რაიონში, რამდენიმე ვულკანური ნაგებობა გვხვდება. მათგან ვულკანი ესიკომი ადრევეა ლიტერატურაში მოხსენიებული (3,9), მაგრამ მისი სპეციალური შესწავლა კი არ ჩატარებულა. თერგის ხეობის ამავე ნაწილში გვხვდება რესის დიდი და პატარა კონუსები, რომლებიც დღემდე საერთოდ ნაკლებად იყვნენ ცნობილნი.

ვულკანური ნაგებობა ე ს ი კ ო მ ი მთავარ ქედთან მდებარეობს დაახლოებით 3200 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე, მდ. ესიკომდონის სათავეებში, სადაც მას მყინვარით წარმოქმნილი ტაფობი უჭირავს და მკაფიოდ გამოხატული კონუსური ფორმა აქვს. ვულკანური კონუსი, რომლის ფუძის გარშემოწერილობა 500 მ შეადგენს რამდენადმე ასიმეტრიულია, რადგანაც ჩრდილო კალთა დამრეცია და გრძელი, ხოლო სამხრეთ კალთა კი მოკლე და ციცაბო (ნახ. 2). კონუსის შეფარდებითი სიმაღლე ჩრდილო კალთის მხრიდან 250—280 მ, სამხრეთიდან კი 120—150 მ.




ნახ. 2. ვულკან ესიკომის აგებულების სქემა

1. თანამედროვე ნაყარი, 2. მორენული მასალა. 3. ანდეზიტ-დაციტი. 4. ზედაიურული მერგელოვანი წყება. 5. მყინვარეული ცირკი. 6. ვულკანური ცენტრი.

კონუსის ფუძის ნაწილში მძლავრი ნაყარია დაგროვილი, განსაკუთრებით ჩრდილო მხარეზე, საიდანაც მცირე სიდიდის მორენა იწყება. ვულკანურ კონუსს კრატერი არ გააჩნია და არც ლავის ნაკადს იძლევა, ისე, რომ, იგი ჩვეულებრივ ექსტრუზულ სხეულს წარმოადგენს. ესიკომი მორუხო და მოვარდისფრო ანდეზიტ-დაციტებით არის აგებული. ლავის ორივე ეს სახესხვაობა მკაფიო პორფირული

აგებულებითა და პილოტაქსიტური ძირითადი მასით ხასიათდება. ფენოკრისტალები მთელი ქანის 40—45% შეადგენს და წარმოდგენილია ფუძე ანდეზინით, თითქმის მთლიანად ოპაციტიზებული ბისილიკატით (რქატყუარით) და საღად შენახული ენსტატიტის ერთეული მარცვლებით. ესიკომის ანდეზიტ-დაციტების ქიმიური ანალიზი ქვემოთ არის მოტანილი (ტაბ. 1, ანალიზი 10).

რესის დიდი და პატარა კონუსი. ორივე ეს კონუსი, სოფ. რესის ზემოთ, თერგის ხეობის მარჯვენა კალთაზეა ამართული. კონუსებს შორის მანძილი სულ ხუთასიოდე მეტრია. მათგან შედარებით დიდია დასავლეთით მდებარე კონუსი, რომელსაც კრატერი არ გააჩნია, მაგრამ საკმაოდ გრძელი (600 მ) ლავის ნაკადი უკავშირდება. ნაკადის ბოლო ნაწილი თერგის თანამედროვე კალაპოტიდან 35—40 მ სიმაღლეზე იმყოფება. ამასთან, მისი აღმოსავლეთ კიდიდან ეროზიით მოწყვეტილი ნაწილი გამოიყოფა, რომლის საერთო ფართობი 0,13 კმ² უდრის. კონუსის ფუძის გარშემოწერილობა 500 მეტრის რიგისაა, შეფარდებითი სიმაღლე კი 200—250 მ აქვს.




ნახ. 3. რესის პატარა და დიდი კონუსის ადგილმდებარეობა და მათი აგებულების სქემა (მასშტაბი დაცული არ არის)

1. თანამედროვე მდინარეული ნალექები. 2. დაციტები. 3. შუაიურული ფიქლების წყება. 4. ვულკანური ცენტრები.

რესის პატარა კონუსიც უკრატეროა და მასაც უკავშირდება 300—350 მ სიგრძის ლავის ნაკადი. ამ კონუსის ფუძის გარშემოწერილობა დაახლოებით 300 მეტრია, შეფარდებითი სიმაღლე კი 100 მ უდრის.

რესის ორივე კონუსი და მათთან დაკავშირებული ლავის ნაკადები რქატყუარიანი დაციტებით არის აგებული. უკანასკნელთათვის ჰიალოპილიტური და ზოგჯერ მიკროფელზიტური ძირითადი მასაა დამახასიათებელი. ძირითადი მასის მინა საკმაოდ მჟავეა და მჟავე შედგენილობის პლაგიოკლაზის (ოლიკლაზის) მიკროლიტებს შეიცავს. ფენოკრისტალები ზონურ ანდეზიან-ლაბრადორი, საღი ან ნაწილობრივ ოპაციტიზებული მომწვანო რქატყუარით არის წარმოდგენილი. არის ერთეული მარცვლები ენსტატიტისა და გრანატისა. რესის კონუსის დაციტების ქიმიური ანალიზები ქვემოთ ტაბულაში ნაჩვენები (ტაბ. 1. ანალ. 11, 12).

როგორც ქვემომოტანილი ანალიზებიდან ჩანს (ტაბ. 1), უმთავრესი ქანმგენელები შესწავლილ ქანებს ორ ჯგუფად ანაწილებს—ანდეზიტ-დაციტებად და დაციტებად. პირველ ჯგუფში ექცევიან ჯვრის უღელტეხილისა და მდ. ბიდარის ხეობაში გავრცელებული მონოგენური ვულკანურ აპარატებთან დაკავშირებული ლავები. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ესიკომის კონუსის ლავა. შესამჩნევად განსხვავებულია რესის დიდი და პატარა კონუსის ლავები, რომლებიც უფრო მჟავე ტიპს—დაციტებს შეესატყვისებიან. მიუხედავად ამისა, ქანების ორივე ეს ჯგუფი პეტროქიმიურად ტიპიურ კირტუტიან სერიის ვულკანურ ქანებს უპასუხებენ.

### ჯვრის უღელტეხილის, მდ. ბიდარისა და თრუსოს ხეობის ზოგიერთი ვულკანური ქანების ქიმიური შედგენილობა

საკვლევი რაიონის ვულკანური ქანები სულ ათიოდე ქიმიური ანალიზით გვაქვს დახასიათებული. ანალიზები შესრულებულია თბილისის სახ. უნივერსიტეტის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის პეტროქიმიურ ლაბორატორიაში (ანალ. № 1, 2, 3, 4, 6, 7, 8 ანალიტიკოს ო. რაზმაძე), საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის ქიმიურ ლაბორატორიაში (ანალ. № 5, ანალიტიკოსი ბუგიანაშვილი), საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოს კომპლექსურ ლაბორატორიაში (ანალ. № 9, 10, 11, ანალიტიკოსი რ. ზამაშვილი).

ტაბულა 1.

| № | $SiO_2$ | $TiO_2$ | $Al_2O_3$ | $Fe_2O_3$ | $FeO$ | $MnO$ | $MgO$ | $CaO$ | $Na_2O$ | $K_2O$ | $P_2O_5$ | $SO_3$ | $H_2O^-$ | $H_2O^+$ | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 64,45 | კვალი | 18,38 | 3,70 | 1,89 | 0,10 | 0,49 | 3,38 | 3,70 | 2,86 | — | — | 0,14 | 1,07 | 100,00 |
| 2 | 62.94 | 0,84 | 16.27 | 2,67 | 2,49 | 0,10 | 2,59 | 4,39 | 3,68 | 2,40 | 0,35 | კვალი | 0,66 | 0,87 | 100,25 |
| 3 | 63,26 | 0,63 | 16,75 | 5,76 | 1,45 | 0,12 | 0,86 | 4,39 | 3,62 | 1,92 | 0,43 | 0,27 | 0,04 | 0,22 | 99,92 |
| 4 | 62,88 | 0,36 | 15.98 | 2.50 | 3,08 | 0,12 | 3,06 | 4,54 | 4,05 | 2,60 | 0,42 | კვალი | 0,20 | 0,36 | 100,15 |
| 5 | 61,26 | 0,52 | 10,97 | 10,49 | 1,15 | 0,05 | 2,18 | 5,28 | 4,13 | 1,93 | 0,52 | 0,24 | 0,29 | 0,98 | 100,05 |
| 6 | 62,67 | 0,63 | 18,39 | 3,63 | 2,71 | 0,13 | 0,33 | 4,67 | 3,76 | 1,92 | 0,41 | 0,20 | 0,22 | 0,26 | 99,90 |
| 7 | 61,14 | 0,78 | 16,14 | 1,82 | 3,92 | 0,17 | 3,53 | 4,22 | 3,44 | 1,71 | 0,57 | 0,03 | 0.62 | 0,32 | 100,07 |
| 8 | 62,81 | 0,48 | 15,92 | 2,12 | 3,42 | 0,17 | 3,82 | 4,62 | 3,44 | 1,85 | 0,24 | 0,34 | 1,08 | 0,32 | 100,18 |
| 9 | 61,98 | 0,78 | 16,59 | 2,15 | 3,67 | 0,14 | 3,42 | 4,82 | 3,52 | 1,71 | 0,45 | 0,1 | 0,42 | 0,24 | 100,29 |
| 10 | 63,57 | 0,52 | 17,05 | 4,92 | — | 0,24 | 1,98 | 4,81 | 5,00 | 1,70 | — | — | 0,04 | 0,37 | 100,19 |
| 11 | 68,21 | 0,23 | 16,37 | 2 92 | — | 0,07 | 1,24 | 3,94 | 5,10 | 1,80 | — | — | 0,08 | 0,12 | 100,08 |
| 12 | 67,17 | 0,32 | 16,07 | 3 61 | — | 0,07 | 1,36 | 4,32 | 5,10 | 1,70 | — | — | 0,46 | 0,04 | 100,22 |

1-ანდეზიტ-დაციტი ყელის ზევნის წვერწაკვეთილი კონუსიდან; 2-ანდეზიტ-დაციტი მდ. არაგვის მარჯვენა ბორტში (ზევიდან მეორე ნაკადი); 3-ანდეზიტ-დაციტი უშუალოდ ჯვრის უღელტეხილზე; 4—ანდეზიტ-დაციტი უღელტეხილიდან ჩრდილოეთით 1,5—2 კმ. მდ, ბიდარაზე (I გამოსავლები); 5—ანდეზიტ-დაციტი მდ. ბიდარაზე, მინერალურ წყაროსთან (II გამოსავლები); 6—ანდეზიტ-დაციტი მდ. ბიდარაზე მინერალური წყლების ქვემოთ ხიდის ქვეშ (III გამოსავლები): 7—ანდეზიტ-დაციტი მდ. ბიდარაზე (IV გამოსავლები); 8,9 —ანდეზიტ-დაციტები მდ. საძელისა და ბიდარის შესართავთან (V გამოსავლები); 10—ანდეზიტ-დაციტი. ვულკანი ესიკომი. 11-დაციტი რესის დიდი კონუსიდან. 12—დაციტი პატარა კონუსიდან.

## საერთო დასკვნა

ზემომოტანილი ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, ჯვრის უღელტეხილის უბანზე (მეტეოროლოგიურ სადგურთან, გავრცელებული ანდეზიტ-დაციტები უღლის ზეგნის მხრიდან შემოსული ლავის ნაკადის ნაწილს წარმოადგენს. უკანასკნელი უღელტეხილიდან ჩრდილო მიმართულებით—ბიდარას ხეობის ღრმად ჩაჭრილ ადგილებში ცალკეული უბნების სახით გაიდევნება. ასე, რომ მდ. ბიდარას გასწვრივ ეროზიით უბან-უბან გაშიშვლებული ან ზოგან დაწყვეტილი ნაკადის ნაწილები გვაქვს და არა ერთიანი ნაკადი, როგორც ამას ზოგი ვარაუდობს. თუ არ ჩავთვლით ჯვრის უღელტეხილის ლავურ სხეულს, მდ. ბიდარაზე ლავის ხუთი ცალკეული უბანია გამოჩენილი. ამასთან, ყველგან, მათ შორის უღელტეხილზეც, პეტროგრაფიულად და ქიმიურად სავსებით ერთნაირი ანდეზიტ-დაციტებია წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, ლავა ბრექჩიულია თუ მასიური.

ბიდარას ხეობაში გავრცელებულია აგრეთვე დაციტური შედგენილობის პიროკლასტური მასალა, რომელთა ამოფრქვევის ცენტრს არავითარი კავშირი არა აქვს უღელტეხილის ფარგლებსა და ბიდარას ხეობაში გავრცელებულ ლავების მომცემ ვულკანურ ცენტრთან.

ასაკობრივად ბიდარას ანდეზიტ-დაციტები შუა პლეისტოცენურზე ძველი უნდა იყოს, ხოლო მათზე განლაგებული დაციტური ბრექჩიები კი უთუოდ პლეისტოცენური.

მონოგენური ტიპის ვულკანებს მიეკუთვნება ესიკომი და რესის დიდი და პატარა კონუსი. პეტროქიმიურად ყველა ზემოხსენებული ეფუზივები კირტუტიანი სერიის ვულკანური ქანების იმ ტიპს შეესატყვისებიან, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელი არიან ოროგენული სარტყლებისათვის.

(შემოსულია 6.1.1973)

მინერალოგია-პეტროგრაფიის
კათედრა

## ლიტერატურა

1. М. С. Бурштар, Ю. М. Васильев и др. Основы геологической практики. Изд. „Недра". Москва, 1972.

2. Н. М. Дзоценидзе, Геология Кельского вулканического нагорья. Изд. „Мецниереба", Тбилиси, 1972.

3. Ф. Ю. Левинсон-Лессинг, Изв. СПб. Политехн. ин-та, т. 20, 1913, стр. 193.

4. Л. И. Маруашвили, Целесообразность пересмотра существующих представлений о палеогеографических условиях ледникового времени на Кавказе. Изд. АН ГССР, Тбилиси, 1956.

5. Е. Е. Милановский, Н. В. Короновский, Бюлл. М. об-ва исп. природы отд. геологии, т. 39. вып. 6. 1964, стр. 57—85.

6. К. Н. Паффенгольц, Очерк магматизма и металлогении Кавказа. Изд. АН Арм. ССР, Ереван, 1970.

7. А. Л. Рейнгард, Крестовый перевал Военно-Грузинской дороги. Изв. Кавк. отд. Русск. геогр. об-ва, т. 22, вып. I. 1913—1914, стр. 17—26.

8. В. П. Ренгартен, Тр. ВГРО, вып, 148, 1932, стр. 44—50.

9. Н. И. Схиртладзе, Постпалеогеновый эффузивный вулканизм Грузии. Изд. АН ГССР, Тбилиси, 1958.

10. Д. В. Церетели, Плейстоценовые отложения Грузии. Изд. „Мецниереба", Тбилиси, 1966.

Н. И. СХИРТЛАДЗЕ, Н. М. ДЗОЦЕНИДЗЕ

# О МОЛОДЫХ ВУЛКАНИЧЕСКИХ ОБРАЗОВАНИЯХ КРЕСТОВОГО ПЕРЕВАЛА И УЩЕЛЬЯ ТРУСО (ВЕРХНЕЕ ТЕЧЕНИЕ Р. ТЕРЕКА)

## Резюме

По новейшим исследованиям авторов в районе Крестового перевала, вдоль ущелья р. Бидара, где предыдущие исследователи на геологической карте показывали единый лавовый поток, спускающийся со стороны Крестового перевала, установлено наличие пяти отдельных выходов лавовых участков, сложенных массивными и местами брекчированными андезито-дацитами. В этом же ущелье обнаружено мощное накопление кислых—дацитовых глыбовых брекчий, центр извержения которых расположен за пределами Крестового перевала, у подножья горы Садзеле. В работе приведены новые данные о вулкане Эсикоме, сложенном андезито-дацитами, а также о двух небольших малоизвестных дацитовых вулканических центрах (Большой и Малый Реси), расположенных в ущелье Трусо, напротив с. Реси. Высказывается мнение, что эти вулканы действовали, в основном, в плейстоцене.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета
А 10 (158), 1975



# НУММУЛИТОВЫЕ ЗОНЫ В ПАЛЕОГЕНЕ ГРУЗИИ

Н. И. МРЕВЛИШВИЛИ

აქ არსებული სოფლების უმეტესი ნაწილი ჭალის ზედა I ტერასზეა გაშენებული. ტერასა ზოგან მდ. დას. ფრონეს შემდინარეთა გამოზიდვის კონუსით იფარება. ასე მაგალითად: სოფ. ბერძენაულთან მთლიანად გადაფარულია მდ. ფლეულას გამოზიდვის კონუსით.

მდინარის ორივე მხარეზე ვიწრო, 40—50 მეტრის სიგანის, ფრაგმენტების სახით გავრცელებულია ჭალის ზედა II ტერასა, რომელიც ბევრ ადგილზე მთლიანად გადარეცხილია. ტერასა მდინარის დონიდან 10—12 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და ამ უკანასკნელისაკენ მკვეთრად იხრება. ტერასის ასეთი დახრილობა ძირითადად გამოწვეულია მასზე დელუვიური მასალის გადაფარვით, ხოლო გადარეცხვა ეგზოგენური პროცესების მოქმედებით.

ხეობის აღნიშნული მონაკვეთის განვითარების ისტორია ჩვენ შემდეგნაირად გვესახება: მდ. დას. ფრონეს მიერ გაკვეთილი გუგულის ანტიკლინური ქედი აზევებას განიცდის აფშერონისა და ბაქოურის წინა ოროგენეტულ ფაზებში (6). ამ დროს მდ. მტკვარი ქართლის ტექტონიკურ დეპრესიაში გუგულის ქედის თხემის გავლით სოფ. ზემო შაქშაქეთის მახლობლად მიედინება და, რეცხავს რა აღნიშნული ანტიკლინური ქედის აღმოსავლეთ ნაწილს, მის დასავლეთ მხარეზე ძირითად ქანებში წარმოშობს სკულპტურულ IV ტერასას (3,4). აღნიშნულ დროში, მდ. მდ. აბანოს, ბრეძის და ფცის წყლები ცალ-ცალკე მიედინებოდნენ და ასე ერთვოდნენ მდ. მტკვარს. უფრო ჩრდილოეთით, ვიდრე დღევანდელ ფრონეს ერთვიან.



სურ. 3. მდ. დას. ფრონეს ხეობის განივი ჭრილი სოფ. სოფ. ზემო და ქვემო შაქშაქეთზე გავლით (შედგენილი ავტორის მიერ)
1. მდ. დას. ფრონეს ალუვიური ნაფენები 2. მდ. მტკვრის ალუვიური ნაფენები 3. ძირითადი ქანი.

რისული ეპოქის შემდგომში, მოხდა რა მდ. მტკვრის სამხრეთით გადანაცვლება, ქართლის ვაკეზე მან დატოვა რელიეფში კარგად გამოხატული II და III ტერასები (6), მდ. მტკვრის გადანაცვლებამ აღნიშნული მიმართულებით, გამოიწვია ზემოთ ჩამოთვლილი მდინარეების შეერთება. შემდეგ უფრო წყალუხვმა მდ. ფრონემ მდ. მტკვრის II და III ალუვიურ ტერასებში უფრო მეტი ინტენსივობით დაიწყო თავისი ხეობის ქვემო წელის გამომუშავება. ალუვიური ტერასების ჩაჭრის შემდეგ სოფ. შაქშაქეთის მიდამოებში მის სიღრმით ეროზიას აბრკოლებს გუგულის ქედის ანტიკლინი, რომელიც თანდათან აზევებას განიცდის. ანტიკლინის ჩრდილოეთით შესაბამისი სინკლინი ყალიბდება. ამ დროს მიმდინარეობს რა ანტიკლინური ქედის აზევება და ჩრდილოეთით სინკლინის მულდის უფრო მეტად გაღუნვა, მდინარე სიღრმითი ეროზიის გაძლიერებას და ქედის სწრაფ ჩაჭრას იწყებს, ხოლო სინიკლინის მულდაში ამავე დროს უხვ ნალექებს აგროვებს (ჭალის ზედა I—ტერასა).

აღნიშნული ანტიკლინური ქედი ამჟამადაც განიცდის აზევებას. როგორც ნ. კანდელაკი და დ. წერეთელი (6) აღნიშნავენ მდ. ფრონეს ხეობაში, იქ, სადაც სოფ. ქვემო შაქშაქეთია გაშენებული, ადგილი აქვს ტერასების გაღუნვას, მაგალითად, აღნიშნული სოფელი, რომელიც მდ. დას. ფრონეს II—ტერასზე მდებარეობს, ჰიფსომეტრიულად არ შეესატყვისება სოფლის ქვემოთ და ზემოთ გავრცელებულ II—ტერასის ბაქნებს და ამ უკანასკნელებისაგან დაახლოებით 5—15 მ. მაღლა მდებარეობს.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობენ აგრეთვე ზემოაღნიშნული და

სხვა ავტორებიც, რომ მდ. მტკვრის მარცხენა შემდინარეთა ხეობებში საერთოდ ქვემო წელში (ქ. ქ. ხაშურსა და მცხეთას შორის) ანტეცედენტური განვითარების არიან.

რადგანაც მდ. დას. ფრონეს ხეობის მორფოლოგიურ თავისებურებაზე კონკრეტული მასალები ლიტერატურაში არ მოიპოვება, ამიტომ ჩვენ მიერ მოტანილი ფაქტებისა და ზემოხსენებულ ავტორთა (2, 3, 4, 6) მოსაზრებები მდ. მდ. ლიახვის, მეჯუდის, ქსანის, არაგვის ხეობების ქვედა ნაწილის ანტეცედენტურობის შესახებ შეიძლება მდ. დასავლეთი ფრონის ხეობის მიმართაც გავავრცელოთ.

(შემოსულია 4.V· 1973)

გეომორფოლოგიის კათედრა

## ლიტერატურა

1. ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941.

2. შ. ცხოვრებაშვილი, თსუ შრომები, ტ. 52. 1954, გვ. 115—120.

3. ალ. ჯავახიშვილი, ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პედ. ინსტიტუტის შრომები. ტ. 11. 1947, გვ. 3—23.

4. ალ. ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, ტ. 1, გეომორფოლოგია, თბ. 1926.

5. А. Н. Джавахишвили, Геоморфологические районы Грузинской ССР. М.—Л., 1947.

6. Д. В. Церетели, Тр. IV Геоморфологической конференции по изучению Кавказа и Закавказья. Ереван, 1947, стр. 99—106.

Т. З. НОЗАДЗЕ

## ГЕОМОРФОЛОГИЧЕСКИЕ НАБЛЮДЕНИЯ В НИЖНЕЙ ЧАСТИ ДОЛИНЫ Р. ЗАПАДНОЙ ПРОНЕ

### Резюме

Река Западная Проне (левый приток р. Сурамула) в недалеком прошлом впадала в р. Куру.

Нижняя часть долины формировалась после рисской эпохи; она врезана в основном в террасы р. Куры.

В середине нижней части долины р. Западная Проне расположена широтная Гугулискедская антиклиналь, в которую врезана антецедентная эрозионная долина, что связано с новейшим поднятием указанной антиклинали.

Здесь отчетливо выражены первые три террасы на уровнях 1—1,5 м, 3—4 м и 10—12 м. Все они покрыты аллювиальными наносами. Третья терраса, кроме того, частично перекрыта делювием.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета
А 10 (158), 1975



# მომსახურების გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხისათვის წულუკიძის რაიონში

გ. ლაშხი

უკანასკნელ პერიოდში ეკონომიური გეოგრაფიის ჩარჩოებში წარმატებით ვითარდება ახალი პერსპექტიული მიმართულება-მოსახლეობის მომსახურების გეოგრაფია.

მოსახლეობის მომსახურების საკითხის შესწავლა რიგი მეცნიერული დისციპლინების კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ეკონომიური გეოგრაფია, სხვა მეცნიერული დისციპლინებისაგან განსხვავებით, სწავლობს მომსახურების მთელი კომპლექსის განლაგებასა და განვითარებას დასახლებულ ადგილებში.

სასოფლო სამეურნეო რაიონებში მომსახურების დარგების განლაგებისა და ორგანიზაციის შესწავლას დიდი პრაქტიკული და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. იგი ემსახურება ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავების შემცირების საქმეს. აგრეთვე მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

მომსახურების გეოგრაფიული შესწავლის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების პირობებში არსებულ რეგიონალურ სხვაობათა გამოვლენა, რომელიც განპირობებულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის სხვადასხვა დონით, რომელზედაც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს განსახლების ხასიათი, დასახლებული პუნქტების ხალხმრავლობა, დაგეგმარების თავისებურება, მოსახლეობის სტრუქტურის შემადგენლობა, ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის რეგიონალური თავისებურებანი [3].

ვინაიდან ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მომსახურებისა და ცხოვრების დონეში შეიმჩნევა გარკვეული დისპროპორცია, ამიტომ სოფლის მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებისათვის საჭიროა სასოფლო დასახლებულ პუნქტთა უზრუნველყოფა საზოგადოებრივი მომსახურების სახეებით: საცხოვრებელი და კომუნალური მომსახურება (წყალი—ელექტროენერგია—გაზი—გათბობა, ადგილობრივი ტრანსპორტი, აბანო, სამრეცხაო, საპარიკმახერო), საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა სახე, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციები, კავშირგაბმულობის დაწესებულებები, საბავშო ბაგები და ბაღები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მთელი სისტემა (კლუბი, ბიბლიოთეკა, თეატრი, კინო და სხვა). შორეული სამგზავრო ტრანსპორტის ორგანიზაცია [3].

ჩვენ მიერ საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე განსახლების განსხვავებული ხასიათი და სოფელთა უთანაბრო განლაგება ართულებს მოსახლეობის მომსახურების ტერიტორიულ ორგანიზაციასა და მის ხასიათს.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება და იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია საზოგადოებრივი მომსახურების სწორი ტერიტორიული ორგანიზაცია.

რაიონში მეურნეობის სოციალისტური სისტემის დამკვიდრებას საბჭოთა წლებში თან მოჰყვა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრი ამაღლება, ერთი მხრივ იზრდებოდა მუშათა რეალური ხელფასი, ხოლო მეორე მხრივ უმჯობესდებოდა მშრომელთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები, დიდი ყურადღება ექცეოდა რაიონის მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებას. რაიონში კარგა ხანია აღარ არსებობს ძველი ქოხმახები, მოსახლეობა ცხოვრობს ახალ კეთილმოწყობილ ბინებში, რომელთა დიდი ნაწილი თვით მშრომელთა პირად საკუთრებას შეადგენს. რაიონის ცენტრში (წულუკიძე) ყოველწლიურად შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები. ქალაქის მოსახლეობის საცხოვრებელი ფართი შეადგენს 9500 კვ მ. 1 სულ მოსახლეზე მოდის 8,9 $მ^2$ საცხოვრებელი ფართი, რაც ნორმას აკმაყოფილებს.

მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წყალსადენსა და კანალიზაციას.

ამჟამად წულუკიძის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სასმელად ჭის წყალს იყენებს. სოფელში კი გამოიყენება წყაროს წყალი. ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებულია დამთავრდეს წყალსადენის მშენებლობა. დაწყებულია კანალიზაციის მაგისტრალის მშენებლობაც, რომლის ჩართვა დაკავშირებულია წყალსადენის საკითხის გადაჭრასთან. გათვალისწინებულია 3—4 წელიწადში ამ ხაზში მოსახლეობისა და დაწესებულების ჩართვა.

რაიონის ყველა დასახლებული პუნქტი ელექტრო და რადიოფიცირებულია. ამჟამად რაიონში ტელევიზორით სარგებლობს დაახლოებით 824 ოჯახი, მათ შორის სოფლად—408.

რაიონში საბინაო-კომუნალურ სფეროში სულ დასაქმებულია 157 კაცი. ყოველ 1000 კაცზე მოდის 4,7 კაცი. წულუკიძის მოსახლეობის გაზით მომარაგება დაიწყო 1962 წლიდან. რაიონში 9105 ოჯახიდან გაზით სარგებლობს 3773 ოჯახი, მათ შორის სოფლად 1954 ოჯახი. გაზის სარგებლობაზე მოთხოვნილება დიდია, თვეში საშუალოდ იდგმება 50 ცალი გაზქურა.

მოსახლეობის ინდივიდუალური მომსახურებისათვის 1961 წლიდან შემოღებულია მსუბუქი ტაქსომოტორების მოძრაობა. ტაქსების რაოდენობა 19. საერთოდ კი შიგა სამიმოსვლო ტრანსპორტში დაკავებულია 177 კაცი, ყოველ 1000 კაცზე 5, 4. საჭირო ნორმა კი შეადგენს 11,5 კაცს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რაიონში შეიქმნა საზოგადოებრივი დაწესებულების ფართო ქსელი, რის გამოც მნიშვნელოვნად გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო მომსახურების მოცულობა. საყოფაცხოვრებო მომსახურებამ, რომელსაც საკვლევ რაიონში დიდი ხნის ისტორია არა აქვს, განსაკუთრებით განვითარება ჰპოვა მიმდინარე ხუთწლედში· 1 სულ მოსახლეზე მომსახურების მოცულობა შეადგენდა 61 ათას მან. 1970 წლისათვის იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეადგინა 350 ათასი მანეთი, ხოლო 1971 წელს 445 ათასი მან. ამავე დროს გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

არამატერიალური სფეროს გაფართოებამ გარკვეული წვლილი შეიტანა დასაქმებული მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდაში. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მომსახურების სფეროში (საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და ტრასპორტის

ცხრ. 1

**წულუკიძის რაიონის მოსახლეობის მომსახურების უზრუნველყოფის დონე 1970 წლის მონაცემების მიხედვით**

| მომსახურების ძირითადი სახეები | დაწესებულ. რაოდენობა | ყოველ 1000 კაცზე არსებული | დასაქმებულთა რაოდენობა | ყოველ 1000 კაცზე არსებული | საჭირო ნორმა ყოველ 1000 კაცზე | საჭირო ნორმის რამდენ % შეადგენს | მომსახ. დასაქ. რამდენ % შეადგენს | მთელი მოსახ. რამ. % შეადგენს |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სახალხო განათლება | 54 | 1,6 | 1159 | 35,5 | 33,0 | 107 | 40 | 3,55 |
| კულტ. საგანმანათებლო | 64 | 1,8 | 165 | 5,0 | 7,22 | 69,4 | 5 | 0,5 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 35 | 1,0 | 833 | 25,0 | 46,19 | 54,2 | 29 | 2,5 |
| ვაჭრობა და საზ. კვება | 166 | 5,0 | 345 | 10,5 | 20 | 52 | 12 | 1,05 |
| კავშირგაბმულობა | 27 | 0,82 | 142 | 4,0 | 8,5 | 46 | 4 | 0,40 |
| საყოფაცხ. მომსახ. | 76 | 2,3 | 298 | 9,1 | 20 | 45,5 | 10 | 0,91 |
| ს უ ლ: | 422 | 12,5 | 2842 | 79,55 | 124,91 | 63,7 | 100 | 8,91 |

გარეშე) სულ დასაქმებულია 2842 კაცი, რაც მთელი მოსახლეობის 8,91% შეადგენს. დასაქმებულთა ხვედრითი წილის მიხედვით ასეთი მდგომარეობა გვაქვს: განათლების (40%), სამედიცინო დაცვის (29%), ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების (12%), საყოფაცხოვრებო მომსახურების (10%) და ა. შ. მომსახურების სფეროში ყოველ 1000 კაცზე დასაქმებულია 79,55 კაცი, რაც არ შეესაბამება ნორმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს (დაგეგმარების რეკომენდაციებში კი გათვალისწინებულია 110,41). თუ ვიმსჯელებთ მომსახურების ცალკეული სახეების მიხედვით, საჭირო ნორმის 107% შეადგენს სახალხო განათლება, 69,4% კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო დაცვა. ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება კი მხოლოდ საჭირო ნორმის ნახევარს შეადგენს. ძალზე დაბალია საყოფაცხოვრებო მომსახურებაში დასაქმებულთა საჭირო ნორმის მაჩვენებელი (45,5%). ამ სახეში დასაქმებულთა რაოდენობა მთელი მოსახლეობის 0,91%-ს შეადგენს, ნორმით უნდა იყოს 2%.

რადგან მომსახურების დაწესებულებათა ძირითადი ნაწილი თავმოყრილია რაიონულ ცენტრში, ამიტომ პატარა დასახლებათა მომსახურების ხარისხი რამდენადმე დამოკიდებულია ადმინისტრაციული რაიონის კონფიგურაციაზე, რაიონულ ცენტრსა და დასახლებული პუნქტების გეოგრაფიულ მდებარეობაზე, დასახლებულ პუნქტებს შორის სატრანსპორტო კავშირზე და სხვა.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე არსებით გავლენას ახდენს სასოფლო დასახლებული პუნქტების სიდიდე, კონფიგურაცია და შიგასასოფლო კომუნიკაციების გაჭიმულობა.

დასახლებული პუნქტები კონფიგურაციის მიხედვით შეიძლება 3 ძირითად ჯგუფად დავყოთ; 1. კონცენტრიული (წრიული) ფორმის სოფლები, (ივანდიდი, მათხოჯი, კონტუათი, რონდიში, ღვედი, ახალბედისეული, უძლოური, გალმა-ნოლა, სუხჩა, ლეფილიე).

2. ელიფსური ფორმის სოფლები (გოჩა-ჯიხაიში, ახალშენი).

3. წაგრძელებული (ხაზოვანი) ფორმის სოფლები (ნახახულევი, დიდი კუხი, პატარა ჯიხაიში, ქუტირი, დედალური, გორდი, კინჩხა).

კონცენტრიული (წრიული) ფორმის სოფლის ცენტრის ცენტრალური მდებარეობის დრო მანძილი მისგან საზღვრამდე 3—4 კმ-ს შეადგენს, ხოლო ელიფსური კონფიგურაციის სოფლის ცენტრიდან დიდი ღერძის მიხედვით 5—6 კმ-ია, წაგრძელებული (ხაზოვანი) ფორმის მქონე სოფლებში მანძილი ცენტრიდან საზღვრამდე, სოფლის ცენტრის ცენტრალური მდებარეობის დროს მერყეობს 1-დან 5 კმ-მდე.

საკვლევი რაიონი თავისი კონფიგურაციით წაგრძელებული ფორმისაა, მისი ცენტრი მდებარეობს პერიფერიულ ნაწილში. მანძილი ცენტრიდან საზღვრამდე 28,8 კმ-ია.

ამ შემთხვევაში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ინტენსიური მომსახურება მოიცავს გარკვეულ ნაწილს, ხოლო რაიონის სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ტრანსპორტის არარეგულარობის გამო, მომსახურებას მოკლებულია.

ვინაიდან მომსახურების ობიექტები უმთავრესად განლაგებულია რაიონის ცენტრში, მომსახურების ორგანიზაციისათვის არსებით მნიშვნელობას იძენს რაიონის ცენტრსა და დასახლებულ პუნქტებს შორის სატრანსპორტო კავშირები. რაიონში საავტომობილო გზების სიგრძე 176,8 კმ-ია, აქედან მყარსაფარიანი გზების სიგრძეა 129,5 კმ, ხრეშოვანის—45,3 კმ, საუწყებო გზების 23 კმ, საგზაო ქსელის სიხშირე 3 კმ შეადგენს. ამჟამად რაიონის ცენტრიდან 4 სოფელში (მათხოჯი, ხიდი, კინჩხა, ბესიაური) დამყარებულია რეგულარული საავტომობილო მიმოსვლა, ავტობუსთა რაოდენობაა 6, მარშრუტი დღის განმავლობაში 24-ია, მათი საერთო სიგრძეა 70 კმ. დასახლებულ პუნქტებს შორის საშუალო მანძილი 5 კმ-ია, ხოლო რაიონის ცენტრსა და სასოფლო საბჭოებს შორის—9,5 კმ. საავტომობილო მიმოსვლა, ქუთაისს, სამტრედიას, წყალტუბოს, გეგეჭკორსა და ცაგერს შორის ხელს უწყობს მთავარი მაგისტრალების გასწვრივ მდებარე სოფლის მოსახლეობის შიგა სასოფლო და რაიონულ ცენტრთა კავშირის დამყარებას მომსახურების მხრივ· მთავარი მაგისტრალებიდან შორს მდებარე სოფლები მომსახურების მიღებაზე დიდ დროს კარგავენ.

სოფლის მოსახლეობის მომსახურების ორგანიზაციულ სახეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვით განსახლების ხასიათი და სოფელთა ხალხმრავლობა [2], საკვლევ რაიონში სოფლის მოსახლეობის 62,5% დიდსა (501—1000 კ) და მსხვილ 1001—2000 კ) სოფლებში (რაოდენობა 12) ცხოვრობს (ივანდიდი, მათხოჯი, წითელვარსკვლავი, დედალაური, დიდი კუხი, გოჩა-ჯიხაიში, ქუტირი, ზედა გორდი, ნახახულევი, ქვედა გორდი, დიდი გუბი და ა. შ.) ასეთ სოფლებში მომსახურების თითქმის მთელი კომპლექსია (განათლება, კულტურა, ჯანმრთელობა, ვაჭრობა, კავშირგაბმულობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება) წარმოდგენილი.

ხშირ შემთხვევაში შეინიშნება გარკვეული დისპროპორცია, კერძოდ საშუალო ხალხმრავლობის (201—500) სოფლებში, ასეთებია გვაზაური, პატარა კუხი, გვაშტიბი, შუა გუბი, გელავერი, ახალბედისეული, საწისქვილო, ხიდი, ზედა კინჩხა, სუხჩა, ძეძილეთი, ღვედი, გამოღმა-ნოღა, ქვედა კინჩხა, სადაც სოფლის მოსახლეობის 21% ცხოვრობს. აქ საზოგადოებრივი მომსახურეობიდან ძირითადად წარმოდგენილია 8-წლიანი ან დაწყებითი სკოლა, საკოლმეურნეო კლუბი ან ბიბლიოთეკა, მაღაზია ან სამეურნეო დაწესებულება, აღნიშნული სოფლის მოსახლეობა, საყოფაცხოვრებო მომსახურებას საერთოდ მოკლებულია. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს სოფ. სოფ. ძეძილეთი, ქვედა კინჩხა, ხიდი, ღვედი, სადაც მომსახურება 5—6 სახით არის წარმოდგენილი. წვრილ (51—100 კ. უძლოური, ლეფილე,

რონდიში) და პატარა (101—200 კ.) ხალხმრავლობის ზოგიერთ სოფელში (პატარა გუბი, ბესიაური, ჩუნეში, გალმა—ნოლა, კინჩხა ფერდი) არსებობს დაწყებითი სკოლები, იშვიათად მოძრავი კინოდანადგარები, საყოფაცხოვრებო მომსახურება კი სრულებით არ არის.

**სოფლად მომსახურების დაწესებულებათა დისლოკაცია და უზრუნველყოფის ხარისხი 1970 წლის მონაცემების მიხედვით**

ცხრილი 2.

| მომსახ. სახეთა რაოდენობა | ადმინისტ. ერთეულთა რაოდენობა | მოსახლეობის რაოდენობა | მოსახლეობის რაოდ. %-ს შეადგენს | დაწესებულებათა რაოდენობა | | | | | | | ყოველ 1000 კაცზე | მთელი დაწეს. ერ-ბის %-ს შეადგენს |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | განათლების | კულტურის | ჯანმრთელობის | ვაჭრობის | კავშირგაბმულობის | საყოფაცხოვრებო | სულ | | |
| 6 | 12 | 12082 | 58,7 | 16 | 32 | 20 | 38 | 12 | 30 | 148 | 12,3 | 64 % |
| 5 | 1 | 438 | 1,5 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | — | 7 | 15,8 | 3,4 |
| 4 | 6 | 4902 | 23,4 | 46 | 14 | 4 | 11 | 1 | 6 | 42 | 8,5 | 1,8 |
| 3 | 5 | 1533 | 7,4 | 5 | 5 | 1 | 7 | — | — | 18 | 11,8 | 7,6 |
| 2—1 | 12 | 1039 | 8,4 | 7 | 7 | 1 | 1 | — | — | 16 | 8,4 | 7,1 |
| 0 | 3 | 129 | 0,6 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | 39 | 21023 | 100% | 35 | 61 | 27 | 58 | 14 | 36 | 231 | 11,9 | 100% |

მომსახურების დაწესებულებათა 62,2% განლაგებულია სოფლად. ცალკეული სახეების მიხედვით სოფლად ლოკალიზებულ დაწესებულებათა 26,7% (61) მოდის კულტსაგანმანათლებლო, 25% (58) ვაჭრობის, 16% (36) საყოფაცხოვრებო მომსახურების, 15% (35) განათლების, 11% (27) ჯანმრთელობის, 6% (14) კავშირგაბმულობის ობიექტებზე.

ყოველ 1000 კაცზე განლაგებულია 2,8 კულტ-საგანმანათლებლო, 2,7 ვაჭრობის, 1,7 საყოფაცხოვრებო, 1,6 განათლების, 1,5 ჯანმრთელობის, 0,6, კავშირგაბმულობის დაწესებულებები, სოფლის მოსახლეობის მომსახურების დაწესებულებებით უზრუნველყოფის ხარისხის შესავლისას აღმოჩნდა, რომ მომსახურების 6 სახით სარგებლობს 12 სოფელი, სადაც სოფლის მოსახლეობის 58,7% ცხოვრობს, ეს სოფლები უმთავრესად სასოფლო საბჭოს ცენტრებია, სადაც გაადგილებულია მომსახურების არსებულ დაწესებულებათა 64%. მომსახურების 4 სახეა დანერგილი 6 სოფელში, სადაც მოსახლეობის 23,4% ცხოვრობს, ყველა ობიექტთა 18% ამ სოფლებშია გაადგილებული. მომსახურების 3 სახით სარგებლობს 5 სოფელი, სადაც მოსახლეობის 73% ცხოვრობს, დაწესებულებათა რაოდენობა 7,6%-ია და ბოლოს მომსახურების 2—1 სახით სარგებლობს 12 სოფელი, სადაც მოსახლეობის 8,4% ცხოვრობს, მათზე მოდის მომსახურების დაწესებულებათა 7%.

ცხრილის განხილვისას აღმოჩნდა, რომ დასახლებული პუნქტები ცალკეული სახეების დაწესებულებათა რაოდენობისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის (ყოველ 1000 კაცზე) ხარისხის მიხედვით დაბალი დონით ხასიათდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ მთელი სოფლის მოსახლეობის 43% საერთოდ მოკლებულია ჯანმრთელობის, კავშირგაბმულობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

წულუკიძის რაიონში მოსახლეობას მომსახურებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოფლად მომსახურების ქსე-

ლის ორგანიზიციის თანაბარი პირობების შექმნა. ამისათვის საჭიროა გათვალის-წინებული იქნეს შემდეგი:

ა) პერსპექტიული განსახლების რეგიონალური თავისებურებანი.

ბ) განსახლების თითოეული ტიპისათვის მომსახურების შესაბამისად საფეხურებრივი სისტემის შექმნა.

გ) დაგეგმარების განსხვავებული ტიპის მსხვილ დასახლებაში მომსახურების ტერიტორიული ორგანიზაციის დროს სოფლების სიდიდისა და კონფიგურაციის მხედველობაში მიღება.

დ) ქალაქსა და ცენტრალური მაგისტრალებიდან შორს მდებარე, დასახლებულ პუნქტებს შორის სამგზავრო კავშირების გაუმჯობესება და საავტობუსო მიმოსვლისათვის შიგა სასოფლო გზების მოწყობა.

ე) მომსახურების გარეშე მყოფ სოფლებში თანამედროვე მომსახურების მობილური ფორმის დანერგვა (ავტოფარდული, მოძრავი სახელოსნო, დამკვეთი პუნქტი და სხვა). მათი შექმნა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, მთიანი სოფლის მოსახლეობის როგორც მომსახურებაში, ასევე მათ შენარჩუნებაში, რაც ამჟამად საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენს.

(შემოსულია 27,XI. 1972) ეკონომიური გეოგრაფიის კათედრა

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. В. Ш. Джаошвили, Население Грузии (экономико-географическое исследование) Тб., „Мецниереба", 1968.
2. С. А. Ковалев, Вестник МГУ, Серия геогр., № 2, 1966.
3. С. А. Ковалев. В. В. Покшишевский, Материалы Второго междуведомственного совещания по географии населения. МГУ, 1967.
4. Услуги и их социально-экономическая роль. „Прогресс", М. 1967.
5. Методические указания по организации системы культурно-бытового обслуживания населения в зонах влияния городов различного типа. НИИ строительного производства Росстроя, Киев, 1967.
6. Н. Соколовский, А. Владимирова, И. Яновская, Вестник МГУ, серия геогр., № 4, 1970.

Г. С. ЛАШХИ

## К НЕКОТОРЫМ ВОПРОСАМ ГЕОГРАФИИ ОБСЛУЖИВАНИЯ В ЦУЛУКИДЗЕВСКОМ РАЙОНЕ

### Резюме

В работе рассматриваются основные вопросы географии обсуживания, анализируется современное состояние занятого населения в сфере обслуживания, а также выявляется уровень обеспеченности населения коммунально-бытовыми и другими услугами.

Основным направлением в деле улучшения условия жизни населения, по мнению автора, является устранение существующих диспропорций в размещении предприятий обслуживания.

# ИЗУЧЕНИЕ ИЗМЕНЕНИЯ СОДЕРЖАНИЯ ХОЛЕСТЕРИНА В ОРГАНЕЛЛАХ ПЕЧЕНИ КРЫС ПРИ ХИМИЧЕСКОМ КАНЦЕРОГЕНЕЗЕ

Б. А. ЛОМСАДЗЕ, М. А. ЦАРЦИДЗЕ,
Л. Г. ТАБАТАДЗЕ, Д. В. ГАМРЕКЕЛИ

В последнее время большое внимание уделяется изучению первичного акта взаимодействия канцерогенного агента с клеткой. Имеются литературные данные, указывающие на локализацию канцерогенных полициклических углеводородов в мембранах, где они вызывают различные физико-химические изменения биосубстратов мембран [1,2]. Из компонентов биомембран одно из важных значений имеет холестерин, который играет значительную роль в различных патологических процессах.

Рядом авторов было показано уменьшение количества холестерина у больных лейкозом [3]. Оказалось, что количество холестерина и его эфиров у больных лейкозом при развитии заболевания имеет тенденцию к уменьшению. Значительным изменениям подвержен холестерин в процессе канцерогенеза [4]. Показано, что опухоли характеризуются высоким содержанием холестерина [5]. В связи с пространственным сходством холестерина с ароматическими полициклическими углеводородами и некоторыми гормонами, предполагается, что холестерин действует как канцероген или является предшественником для таковых. Хейджер выдвинул предположение, что канцерогенное действие экстрактов из раковых тканей связано с холестерином и каким-нибудь другим канцерогенным агентом, получив экспериментальные подтверждения этому [6]. Установлена зависимость между ростом опухоли и синтезом холестерина. В латентном периоде роста опухоли синтез холестерина падает и его количество уменьшается. Опухолевые клетки лишены возможности синтезировать холестерин [7].

Исходя из вышеуказанных литературных данных о роли холестерина при злокачественном росте, целью наших экспериментов являлось изучение изменения количества холестерина в органеллах клеток печени крыс в процессе канцерогенеза и взаимодействия холестерина с 3,4 бензпиреном в опытах in vitro.

Полициклические углеводороды (3,4-бензпирен, антрацен) вводились подкожно белым беспородным крысам—на крысу 5 мг растворенного в 0,5 мл оливкового масла. Количество холестерина измеряли через 2,4, 16,24 ч., 5, 15, 50, 75 и 100 дней после введения полициклических углеводородов реакцией Либермана-Бурхардта [8]. Определение количества 3,4-бензпирена при взаимодействии с холестерином проводили методом квазилинейчатых спектров флюоресценции [9].

В таблице 1 показано изменение количества общего холестерина в органеллах клеток опухоли и печени крыс. Как видно из таблицы, в лизосомах клеток печени канцерогенный 3,4-бензпирен вызывает падение уровня общего холестерина на всех этапах канцерогенеза по сравнению с нормой. Аналогичные изменения имеют место и при действии антрацена. Аналогичная картина изменений наблюдается и в микросомах. В случае митохондрий 3,4-бензпирен в первые часы вызывает увеличение уровня общего количества холестерина по сравнению с нормой, с 5-го дня постепенно достигает минимума вплоть до стадии образования опухоли. Спустя 24 часа и до 75 дней после введения канцерогенного 3,4-бензпирена уровень общего холестерина в ядрах повышен, а при образовании опухоли достигает минимального значения. При сравнении изменений количества общего холестерина соответствующих органелл печени и опухоли видно, что во всех органеллах клеток опухоли наблюдается рез-




Рис. Количественное изучение изменения взаимодействия холестерина с 3,4-бензпиреном и антраценом

1. Изменение количества 3,4-бензпирена при взаимодействии с холестерином.
2. Изменение количества холестерина при взаимодействии с 3,4-бензпиреном,
3. Изменение количества холестерина при взаимодействии с антраценом.

кое уменьшение уровня общего холестерина по сравнению с его количеством в органеллах клеток печени нормальных крыс.

Существует предположение, что в биологических мембранах холестерин и фосфолипиды связаны друг с другом Ван-Дер-Ваальсовыми сила-

Таблица 1

**Изменение количества общего холестерина в органеллах клеток печени крыс (количество холестерина даётся в $\gamma$-ах на 100 мг сырого веса органелл)**

| Наименование | Контроль | АНТРАЦЕН 2 ч. | АНТРАЦЕН 4 ч. | АНТРАЦЕН 24 ч. | АНТРАЦЕН 5 дн. | АНТРАЦЕН 15 дн. | АНТРАЦЕН 50 дн. | АНТРАЦЕН 75 дн. | АНТРАЦЕН 100 дн. | 3,4-БЕНЗПИРЕН 2 ч. | 3,4-БЕНЗПИРЕН 4 ч. | 3,4-БЕНЗПИРЕН 24 ч. | 3,4-БЕНЗПИРЕН 5 дн. | 3,4-БЕНЗПИРЕН 15 дн. | 3,4-БЕНЗПИРЕН 50 дн. | 3,4-БЕНЗПИРЕН 75 дн. | 3,4-БЕНЗПИРЕН 100 дн. | Опухоль |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Митохондрии | 176,4 +14 | 162+2 | 196+4 | 211,5 +1,4 | 73,3 +0,6 | 96 +1,4 | — | 24+2 | 25+3 | 276 +3,4 | 196 +1,2 | 174,6 +2,4 | 733 +1,1 | 116 +26 | 96 +0,8 | 50 +0,7 | 25 +0,5 | 96 +0,8 |
| Лизосомы | 357,5 +21,5 | 264+3 | 382 +3,2 | 220 +1,7 | 192 +2,6 | 274 +1,3 | 220 +4,5 | 180 +1,1 | 20 +4,5 | 244 +1,6 | 241 +4,2 | 153 +1,7 | 240 +2,3 | 240 +1,8 | 240+5 | 50+1 | 75 +2,3 | 76+4 |
| Микросомы | 397,2 +31 | 3 4+4 | 287+4 | — | 220+5 | 212+8 | 246+6 | 76 +4,2 | — | 430 +1,3 | 359 +4,4 | — | 230 +5,6 | 166 +1,4 | 240 +4,2 | 180 +3,1 | 124 +2,6 | 48+3 |
| Ядра | 130 +0,71 | 310+7 | 127,1 + 1,7 | 128 +3,4 | 149+3 | 178+5 | 70 +4,0 | 56+2 | 48+1 | 360+7 | 128+6 | 225,3 +14,25 | 184+5 | 382 +155 | 148 +14 | 157 + 4 | 36+2 | 116+6 |

ми [10]. Возможно, что канцерогены, попадая в клетку, вытесняют холестерин из мембран, занимая их место, и образуют комплекс с фосфолипидами. Этим можно объяснить уменьшение уровня количества общего холестерина в органеллах клеток опухоли и печени в процессе канцерогенеза.

На рисунке приведены данные по взаимодействию холестерина с 3,4-бензпиреном и антраценом в условиях комнатной температуры при дневном освещении. Как видно из рисунка, в течение первого месяца, когда происходит чувствительное падение количества холестерина, количество 3-4-бензпирена меняется незначительно. Противоположная картина изменений наблюдается в следующие месяцы, когда имеет место увеличение концентрации окисленных продуктов холестерина, количество 3-4-бензпирена уменьшается. При изучении взаимодействия антрацена с холестерином не наблюдалось уменьшения количества холестерина, что свидетельствует об отсутствии химического взаимодействия между холестерином и неканцерогенным антраценом.

В литературе имеются данные о канцерогенности некоторых окисленных продуктов холестерина [6,11]. Возможно при взаимодействии холестерина и 3,4-бензпирена образуются такие окисленные продукты их взаимодействия, которые обладают канцерогенной активностью и выполняют роль эндогенных канцерогенов.

(Поступило 12. X. 1972)

Кафедра биофизики

## ЛИТЕРАТУРА

1. W. N. Willmer, Biol. Rev., 37, 1961, 3?8.
2. M. Arcos, J. Arcos., Arzneimittel-Forsch., 8, 1958, 602.
3. А. В. Шевченко, Н. К. Морозова, В. А. Бабичева, Лабораторное дело № 9. 1968. 537.
4. А. Поликар, М. Бесси, Элементы патологии клетки. М.. 1970.
5. F. Sawer, Canad. J, Biochem., 40, 1962, p. 1749.
6. J. Heiger, Brit. J. Cancer., 4, 1949, p. 123.
7. В. С. Третьякова. Усп. совр. биологии, т. 57, в. №, 1964, стр. 350.
8. Г. Н. Удинцев, В. Б. Бланк, Д. А. Кравец, И. С. Тимесков, Пособие по клинико-лабораторным методам исследовании. Л., 1968.
9. Э. В. Шпольский, УФН, т. 77, в. 2, 1962.
10. Д. Финеан, Биологические ультраструктуры. М., 1970.
11. A. H. Roffo., Am. J. Cancer., 17, 1933, 42.

ბ. ლომსაძე, მ. ცარციძე,
ლ. ტაბატაძე, დ. გამრეკელი

### ქოლესტერინის რაოდენობრივი ცვლილებების შესწავლა ვირთაგვის ღვიძლის ორგანელებში ქიმიური კანცეროგენეზის პროცესში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქოლესტერინის რაოდენობრივი ცვლილება ვირთაგვის ღვიძლის ორგანელებში და მისი ურთიერთქმედება კანცეროგენულ 3-4-ბენზპი-

რენთან, აღმოჩნდა, რომ როგორც კანცეროგენული, ასევე არაკანცეროგენული აგენტები იწვევენ ქოლესტერინის რაოდენობის შემცირებას ვირთაგვის ღვიძლის ორგანელებში (მიტოქონდრიები, მიკროსომები, ლიზოსომები).

ქოლესტერინის 3,4-ბენზპირენთან ურთიერთქმედების საფუძველზე გამოთქმულია აზრი ქოლესტერინის ჟანგვითი პროდუქტების საშუალებით ვირთაგვის ორგანიზმში ენდოგენური კანცეროგენეზის განვითარების შესახებ.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета
А 10 (158), 1975



# მდინარე ხანისწყლის იქთიოფაუნის შესწავლისათვის

პ. ხელაძე

დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ადგილების მდინარეების იქთიოფაუნა ნაკლებად არის შესწავლილი. ზოგიერთ ცნობას იქთიოფაუნის შესახებ ვპოულობთ ბარაჩის [1], ტყეშელაშვილის [2], ელანიძის [3], ხელაძის [4], შერვაშიძის [5] და ბურჯანაძის [6] შრომებში.

მდინარე ხანისწყალი დასავლეთ საქართველოს სხვა მდინარეებთან შედარებით მცირე ზომისაა, მისი იქთიოფაუნის შესახებ ცალკე გამოკვლევა არ არსებობს. მდინარე ხანისწყლის წყალშემკრები აუზი შედარებით მცირეა. ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა მდინარე ხანისწყლის იქთიოფაუნა, დაგვედგინა სისტემატიკური შემადგენლობა და ნაწილობრივ გაგვეშუქებინა ამ მდინარეში მობინადრე თევზების ბიოლოგია, ზოგიერთი სახეობის კვების თავისებურებანი და სხვა. მეთევზეობის თვალსაზრისით ხანისწყლის პრაქტიკული მნიშვნელობა მცირეა. მდინარის ჩქარი დინება აგრეთვე ნაწილობრივ ხელს უშლის თევზების ზოგიერთი სახეობის გავრცელებას. ეს მდგომარეობა მდ. ხანისწყალში შესამჩნევი ხდება მის ზემო წელში სოფ. ხანამდე, სადაც მარტო მდინარის კალმახი ბინადრობს.

თევზების მოპოვებას ვაწარმოებდით: მდინარის ტოტის დაშრობით, ანკესით, სასროლი და მოსასმელი ბადით. მასალას ვიღებდით გარდა მდინარის მთავარი კალაპოტისა მისი ზოგიერთი მთავარი შენაკადებიდანაც. შეგროვილ მასალას ვაფიქსირებდით 4% ფორმალინში, ხოლო მის შესწავლასა და დამუშავებას ვაწარმოებდით ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრის ლაბორატორიაში.

სულ შეგროვილია 13 სხვადასხვა სახეობის თევზი, რომელთა აღწერა ცალკეული სახეობის განხილვის დროს არის მოცემული.

**1. კალმახი—Salmo fario** Linné. ლიტერატურის [5] მიხედვით საქართველოს ფარგლებში კალმახი ფართოდაა გავრცელებული და თითქმის მთის ყველა მდინარეში გვხვდება. ხანისწყალში კალმახი შედარებით დიდი რაოდენობით გვხვდება ზემო წელში სოფ. ხანამდე, ხოლო შუა წელში კალმახი მცირე რაოდენობით ბინადრობს და არც თუ ისე დიდი ეგზემპლარები მოიპოვება. კალმახი საკმაო რაოდენობით მოიპოვება ხანისწყლის ყველა შენაკადში—საკრაულაში, კინკილეთისწყალში, წაბლნარისწყალში, ქვეშავეთში. კალმახი ძვირფასი სარეწაო მნიშვნელობის თევზია. ხანისწყალში კალმახის ჭერას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს.

**2. კავკასიური ქაშაპი—Leuciscus cephalus orientalis** Nordmann. ქაშაპი ლიტერატურული [1] მონაცემების მიხედვით დასავლეთ საქართველოს ყველა მდინარეებში გვხვდება და მისი ვერტიკალური გავრცელება 600 მეტრის სიმაღლეს აღწევს ზღვის დონიდან.

ჩვენ მიერ ხანისწყალში ქაშაპი მოპოვებულია შუა და ქვემო წელში 40 ეგზემპლარის რაოდენობით. ქაშაპი ქვემო წელში მეტი რაოდენობით გვხვდება. ქაშაპი იკვებება მცენარეული და ცხოველური საკვებით. ქაშაპს განკვეთის შედეგად კუჭ-ნაწლავში აღმოაჩნდა—მწერები, ჭიები, ხოჭოები და სხვა ნახევრად მონელებული ნარჩენები, რომლის გარკვევა დაზიანების გამო შეუძლებელი აღმოჩნდა.

3. **კოლხური ტობი** —**Chondrostoma colchicum** (Kessler) Derjugin, ლიტერატურული [1] მონაცემებით კოლხური ტობი ბინადრობს დასავლეთ საქართველოს შემდეგ მდინარეებში: რიონში, ჭოროხში, ჩაქვში, ლეღვაში, ნატანებში და ყვირილაში.

ჩვენ მიერ კოლხური ტობი მოპოვებულია ხანისწყალის ქვემო წელში, შუა წელში თანდათანობით კლებულობს და ზემო წელში სრულებით არ გვხვდება. იკვებება ძირითადად წყალმცენარეებით. ხანისწყალში გავრცელებულ კოლხურ ტობს რაოდენობის სიმცირის გამო სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

4. **დასავლეთ ამიერკავკასიური ციმორი**—**Gobio lepidolaemus** n. **caucas**. Komensky. კოლხური ციმორი გვხვდება ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში, მდ. ტუაფსედან რიონის აუზამდე [1]. მდ. ხანისწყალში კოლხური ციმორი გვხვდება შუა და ქვემო წელში [4]. ეს სახეობა მოიპოვება მდ. საკრაულაში. სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

5. **კოლხური ხრამული** —**Varicorhinus sieboldi** (Steindachner). კოლხური ხრამული ბინადრობს რიონში, ცხენისწყალში, ყვირილაში, სუფსასა და მდ. ქობულეთში [1]. კოლხური ხრამული გავრცელებულია აგრეთვე მცირე აზიის ჩრდილო სანაპიროსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მდინარეებში: რიონში, ცხენისწყალში, ჭოროხში, ყვირილასა და სუფსაში [6]. იგი გვხვდება მდ. სულორში, კორისწყალში და კვინისწყალში [2].

ჩვენ მიერ კოლხური ხრამული მოპოვებულია ხანისწყლის ქვემო წელში 5 ეგზემპლარის რაოდენობით. უდიდესი მათგანის სიგრძე 350 მმ უდრიდა.

6. **კოლხური წვერა** —**Barbus tauricus escherichi** Steindachner. კოლხური წვერა ხანისწყალში გვხვდება შუა და ქვემო წელში, სადაც ეს თევზები, სხვა სახეობასთან შედარებით, არც თუ მცირე რაოდენობით მოიპოვება. ბინადრობს საკრაულაში, ლაშურაში, ქერშაველში, კინკილეთისწყალში, წაბლნარასწყალში. ზემოთ დასახელებულ მდინარეებში კოლხური წვერა მოიპოვება შუა და ქვემო წელში. ხანისწყალში ეს თევზი დიდი ზომისანი გვხვდებიან, ვიდრე მის შენაკადში. წვერას უყვარს სუფთა წყალი. ხანისწყალში ვპოულობდით ჩანჩქერებში. ხშირად გვხვდება ჯგუფად და ერთეულების სახითაც. ჯგუფებში ერთიანდებიან როგორც დიდი ზომის ეგზემპლარები, ისე მცირე ზომის. ივლისსა და აგვისტოში დაჭერილ წვერას, მუცელში აღმოაჩნდა მომწიფებული ქვირითი. იკვებება ცხოველური ნარჩენებითაც. კუჭში აღმოაჩნდა კიბოსნაირების ქიტინოვანი ნაწილები და ჭიები. მოსახლეობა ძლიერ ეტანება მას, რადგან გემრიელი თევზია, წვერას სარეწაო მნიშვნელობა ადგილობრივ ხასიათს ატარებს.

7. **სამხრეთული ფრიტა** —**Alburnoides bipunctatus fasciatus** (Nordm.). სამხრეთული მარდულა გავრცელებულია რიონში, ჭოროხში, კინტრიშში და აჭყვაში [1]. ეს სახეობა მოიპოვება შავი ზღვის აუზში გელენჯიკიდან ბათუმამდე [7]. ნიკოლსკი [8] მარდულას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც სხვადასხვა სახეობის მწერების მატლების გამანადგურებელს.

ჩვენ მიერ მარდულა ხანისწყალში მოპოვებულია შუა და ქვემო წელში მცირე რაოდენობით. გვხვდება აგრეთვე საკრაულაში, ლაშურაში, ქერშაველში, წაბლნარას-

წყალში და კინკილეთისწყალში. ზემოთ ხსენებულ მდინარეებში გვხვდებოდა ქვების ქვეშ, მორევში და სხვ. მოპოვებული იყო 10 ეგზემპლარი, ზოგიერთ მათგანს კუჭში აღმოაჩნდა მწერების ქიტინოვანი ნაწილები, თევზების ნახევრად მონელებული ქვირითი და სხვადასხვა სახის გაურკვეველი ნაწილები. მოსახლეობა საკვებად იყენებს. სიმცირის გამო სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

8. **ტაფელა—Rhodeus sericeus amarus** (Bloch). მდინარე ხანისწყალში ტაფელა გვხვდება ქვემო დინებაში. იგი ბინადრობს ქვების ქვეშ. კუჭში აღმოაჩნდა დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახეობის წყალმცენარეები. სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს. ტაფელას გამოყენება შეიძლება სადეკორაციოდ.

9. **კობრი—Cyprinus carpio** Linné. კობრი მდინარე ხანისწყალში ჩვენ მიერ მოპოვებულია ქვემო წელში, მაისში, 20 ეგზემპლარი. ზამთრის პერიოდში კობრი ჯგუფებად ღრმა ორმოში გროვდება და იქ იზამთრებს [6]. კობრს სარეწაო მნიშვნელობა არ აქვს.

10. **ანგორული გოჭალა—Nemachilus angorae** Steindachner. გოჭალა გავრცელებულია მდინარეებში, რომლებიც შავ ზღვას ერთვიან [1]. იგი მოიპოვება რიონში, ხანისწყალში [3]. ხანისწყალში ჩვენ მიერ გოჭალა მოპოვებულია შუა და ქვემო წელში და მის შენაკადებში. გოჭალას ვპოულობდით ქვების ქვეშ და წვრილ ქვიშაში.

11. **ამიერკავკასიური გველანა—Cobitis taenia satunini** Gladkov. მდინარე ხანისწყალში გველანა ჩვენ მიერ მოპოვებულია ქვემო და შუა წელში 6 ეგზემპლარი. ვპოულობდით ქვების ქვეშ მცირე ზომის ეგზემპლარებს. გველანა თევზს სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვს.

12. **ლოქო—Silurus glanis** Linné. ჩვენ მიერ ლოქო მოპოვებულია ხანისწყლის ქვემო წელში, დაახლოებით 5 კგ წონისა. გვხვდებოდა ღრმა წყალში. ლოქოს ადგილსამყოფელს წარმოადგენს ღრმა წყლები, რომლებიც მორევებს ქმნიან. ლოქოს სარეწაო მნიშვნელობა ხანისწყალში ადგილობრივი ხასიათისაა.

13. **კავკასიური მდინარის ღორჯო — Gobius cephalarges constructor** Nordm. კავკასიური მდინარის ღორჯო გვხვდება ფსირცხაში, რიონსა და ყვირილაში [1]. იგი გავრცელებულია ფსირცხაში, ბესლეთში, რიონში, ყვირილაში, ბათუმის სანაპიროების მდინარეებში ჭოროხამდე, ნურიის ტბაში, მტკვრის ზედა და შუა წელში [6].

ხანისწყალში ღორჯო გვხვდება შუა და ქვემო წელში და მის ყველა შენაკადში. ღორჯოს ვპოულობთ ქვების ქვეშ და სანაპიროს კლდის ქვეშ. ბინადრობს მდინარის სიღრმეში, მის ნაპირებზე. უმეტესად გვხვდება მურა ნაცრისფერი. იკვებება სხვადასხვა სახეობის მწერებით. კუჭში აღმოაჩნდა მოუნელებელი თევზების ნარჩენები. ღორჯოს თევზს სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვს.

## დასკვნა

შეგროვილი მასალების ანალიზის საფუძველზე მდ. ხანისწყალში ბინადრობს შემდეგი სახეობის თევზები:

1. კალმახი—Salmo fario Linné.
2. კავკასიური ქაშაპი—Leuciscus Cephalus orientalus Nordmann.
3. კოლხური ტობი—Chondrostoma colchicum (Kessler) Derjugin.
4. დასავლეთ ამიერკავკასიური ციმორი—Gobio gobio lepidolaemus n. caucasicus Kam.

5. კოლხური ხრამული—Varicorhinus sieboldi (Steindachner).
6. კოლხური წვერა—Barbus tauricus escherichi Steindachner.
7. სამხრეთული ფრიტა—Alburnoides bipunctatus faciatus (Nordm).
8. ტაფელა—Rhodeus sericeus amarus (Bloch).
9. კობრი—Cyprinus carpio Linné.
10. ანგორული გოჭალა—Nemachilus angorae Stendachner.
11. ამიერკავკასიური გველანა—Cobitis taenia satunini Gladkov.
12. ლოქო—Silurus glanis Linné.
13. კავკასიური მდინარის ღორჯო—Gobius cephalarges constructor Nordmann.

(შემოსულია 10. VI. 1972)

ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრა

## ლიტერატურა


1. Р. П. Барач, Рыбы пресных вод. Фауна Грузии, т. I, Тбилиси, 1941.
2. ვ. ტყეშელაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 54. 1954, 164—165.
3. რ. ელანიძე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 16, 1950.
4. პ. ხელაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 82, 1960, 219—225.
5. ვ. შარვაშიძე, საქართველოს თევზების სარკვევი, „ცოდნა", თბილისი, 1960.
6. მ. ბურჯანაძე, საქართველოს მტკნარი წყლის თევზთა სარკვევი, თბილისი, 1940.
7. А. С. Берг, Рыбы пресных вод СССР и сопредельных стран, ч. II. М., 1948.
8. Г. В. Никольский, Частная ихтиология. М., 1950.


П. С. ХЕЛАДЗЕ

## К ИЗУЧЕНИЮ ИХТИОФАУНЫ р. ХАНИСЦКАЛИ

### Резюме


Для р. Ханисцкали автором установлено 13 видов рыб:

1. Форель—Salmo fario Linné.
2. Кавказский голавль—Leuciscus cephalus orientalis Nordm.
3. Колхидский подуст—Chondrostoma colchicum (Kessler) Dertjugin.
4. Западно-закавказский пескарь—Gobio gobio lepidolemus n. caucasicus Kam.
5. Колхидская храмуля—Varicorhinus sieboldi (Steindachner).
6. Колхидский усач—Barbus tauricus escherichi Steindachner.
7. Южная быстрянка—Alburnoides bipunctatus faciatus (Nordm).
8. Горчак—Rhodeus sericeus amarus (Bloch).
9. Сазан—Cyprinus carpio Linné.
10. Ангорский голец—Nemachilus angorae Steindachner.
11. Щиповка—Cobitis taenia satunini Gladkov.
12. Сом—Silurus glanis Linné.
13. Кавказский речной бычок—Gobius cephalarges constructor Nordmann.

# СОДЕРЖАНИЕ

## Математика



## Кибернетика



## Физика



## Химия

## Геология—география



## Биология

# შინაარსი

## მათემატიკა



## კიბერნეტიკა



## ფიზიკა



## ქიმია

## გეოგრაფია-გეოლოგია



## ბიოლოგია

## CONTENTS

### Mathematics



### Cybernetics



### Physics



### Chemistry



### Geography-Geology

Редакторы издательства: Л. И. Абуашвили, А. С. Стуруа
Техредактор И. В. Хуцишвили
Корректор Е. С. Сулханишвили

Подписано в печать 31/VII-75
Формат бумаги 70×108/16
Печатных л. 15,4
Учетно-изд. л. 11,1

Заказ 2230 УЭ 11578 Тираж 500

Цена 1 руб. 21 коп.

Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.
თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14

Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.
თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.